პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-2 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 133 ოთხშაბათი 13 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000 მან. № 133

დღიური

ბულგარეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ძველი მთავრობა დატუსაღებულია. ახალ მთავრობას სათავეში უდგას პროფესორი ცანკოვი.

საფრანგეთის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლისის მიერ დაკავებულ პოზიციის შესახებ გერმანიის ახალი ნოტის საკითხში.

მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გაილაშქრა გერმანიის ახალი ნოტის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ინგლისს გადასცა პასუხი უკანასკნელ ნოტაზე

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, პარასკევს, 15 ივნისს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმულ იქნეს „ეროვნული საკითხი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში“.

როგორც მასალით უნდა ისარგებლონ მე-XII ყრილობის რეზოლიუციით ამ საკითხის შესახებ და ამხ. სტალინის მიერ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებით.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბენი.

„კომუნისტი“-ს რედაქცია
გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული
(მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

რუსეთის პასუხი

კონფლიქტი ინგლისსა და საბჭოთა რესპუბლიკებ შორის გაჭიანურდა. ერთმანეთისადმი ნოტების გზავნა ჯერაც არ შეწყვეტილა. დღეს იბეჭდება საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი პასუხი კერზონის ულტიმატუმზე.

როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენი მთავრობა შესაძლებელ მაქსიმალურ დათმობებზე წავიდა, დასთანხმდა დაეკმაყოფილებია ლონდონის ბევრი სრულიად უსაფუძვლო პრეტენზიები, ოღონდ დაეცვა მშვიდობიანობა, თავიდან აეცილებია ინგლისთან კავშირის გაწყვეტა და აქედან მოსალოდნელი საერთო მდგომარეობის გართულება.

გენერალური სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება ახალ და ძველ სამყაროს შორის, საბჭოთა კავშირის გამარჯვებულ მშრომელებსა და ჯერ კიდევ გაბატონებულ მსოფლიო ბურჟუაზიას შორის აუცილებელია მომავალში, მაგრამ დღეს კი საჭიროა, როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით, შენარჩუნება იმ შედარებითი მშვიდობიანობისა და მერყევი წონასწორობის მაინც, რომელიც დამყარდა მოპირდაპირე ძალთა შორის განვლილი ბრძოლების შედეგად. ამასობაში ჩვენ ყოველ მხრივ ვძლიერდებით შიგნით, ამასთან უცდით იმ მომენტს, როცა საერთაშორისო მუშათა კლასი წელში გაიმართება და შესძლებს არამც თუ თავდაცვას შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისაგან, არამედ მის წინააღმდეგ მედგარ და უკანასკნელ იერიშის მიტანას.

ასეთი პირობები ჯერ არ არის შექმნილი, და ჩვენს მიზანს შეადგენს უდროვოდ არ ჩავებათ საბედისწერო შეტაკებაში, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ისტორიული დავა არა მარტო ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, არამედ შრომასა და კაპიტალს შორის.

ამიტომაც, ვიმეორებთ ჩვენ, საბჭოთა მთავრობა დაადგა დათმობების გზას ეხლა აღმოცენებულ კონფლიქტში და არ წამოეგო კერზონის პროვოკაციულ ანკესზე. ჩვენმა სამშვიდობო პოლიტიკამ შეასუსტა ინგლისის ერთი მუჭა მილიტარისტული და ავანტიურისტული შაიკის პოზიცია და გაანაპირა ის დანარჩენ მუშათა და საქმიან ჯგუფებისაგან.

მაგრამ ყოველგვარ დათმობას აქვს საზღვარი და ეს საზღვარი თავდება იქ, რომლის იქით იწყება ოქტომბრის რევოლიუციის ძირითადი მონაპოვართა და საბჭოთა წყობილების საფუძვლების შელახვა.

ნათქვამია, მადა ჭამის დროს მოდისო, და ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობის-მოყვარეობამ უფრო მეტი მადა გაუღვიძა კერზონს და ის ლამობს გასწიოს უსინიდისო სპეკულიაცია.

ლონდონის მთავრობამ თავის მეორე ნოტაში, როგორც ვიცით, ახალი მოთხოვნა წამოაყენა. ისარგებლა რა იმ შემთხვევით, რომ საბჭოთა მთავრობამ, მშვიდობიანობის დაცვის მიზნით, თანხმობა განაცხადა ორი ინგლისელ მოქალაქის დასჯისთვის ანაზღაურების მიცემაზე, ინგლისის კაბინეტმა კვლავ დასვა არა ერთხელ დამარხული საკითხი რევოლიუციის მიერ დაზარალებულ საერთოდ ინგლისელ მოქალაქეთა კომპენსაციის შესახებ.

ესაა პირდაპირი ამოძახილი ურკარტის და სხვა „რუსეთის კრედიტორების“ ზრახვების; ურკარტი სწერდა, რომ ვალების ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ, უცხოელ ყოფილ მესაკუთრეების აღდგენა თავიანთ უფლებებში, დაზარალებულ უცხოელ მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურება—ეს უნდა იყოს წინასწარი პირობა ინგლის-რუსეთის შორის ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენისო.

ლორდ კერზონი დაახლოვებით იმეორებს მის მომავლინებელ ურკარტების მოთხოვნებს.

ამ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად მსოფლიო ბურჟუაზიას არაფერი დაუზოგავს: ომი, ინტერვენცია, ბლოკადა. მაგრამ მისი ყოველი ცდა ამ მხრივ სასტიკად იქნა დამარცხებული ჯერ მაშინ, როცა ჩვენ შეუდარებლად სუსტნი და მოუწყობელნი ვიყავით.

ესევე საკითხი შეადგენდა გენუის და ჰააგის კონფერენციების მთავარ საგანს. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გადაჭრილი უარი განაცხადა.

ეხლა კერზონი ობმოკიდებული არქივიდან ისევ იღებს ძველ თამასუქებს.

ეს დიდი თავხედობა და ამასთან პროვოკაციული ნაბიჯია, რა თქმა უნდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც ყოველთვის, ეხლაც გასცა ღირსეული პასუხი. ის თანახმაა ზარალის ანაზღაურებაზე მხოლოდ სრული ურთიერთობის საფუძველზე. ინგლისის მთავრობა, როგორც ეს მას შეეფერება, ლაპარაკობს მხოლოდ თავის დაზარალებულ მოქალაქეებზე, ხოლო არაფერი სურს გაიგონოს იმ აურაცხელ ზარალსა და უბედურებაზე, რომელიც მიაყენა რევოლიუციონურ რუსეთს და მის ხალხს ანტანტამ და კერძოდ ინგლისმა—ომით, ინტერვენციით, ბლოკადით, სამოქალაქო ომისათვის ხელის შეწყობით და სხ.

ეს ცალმხრივი და აშკარად უკანონო მოთხოვნის დაკმაყოფილება საბჭოთა მთავრობას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. მით უმეტეს ზედმეტია ლაპარაკი ყოფილ მესაკუთრეების აღდგენაზე თავიანთ უფლებებში, რაზედაც ბოდავს გაბოროტებული ურკარტი. მეორე საკითხი, რომელიც იწვევს უთანხმოებას, ესაა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საბჭოთა წარმომადგენლების გაწვევის მოთხოვნა. საბჭოთა მთავრობას ამ საკითხის, როგორც სხვა საკითხების მოგვარება შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ კეთილ-სინდისიერი მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა მთავრობამ მოიმოქმედა ყველაფერი შესაძლებელი, რათა მშვიდობიანად დაესრულებია ლონდონის კაბინეტის მიერ გამოწვეული კონფლიქტი. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ინგლისს, რომელსაც, როგორც ჩვენი ნოტაც აღნიშნავს, დააწვება მთელი პასუხისმგებლობა დამოკიდებულების შეწყვეტისათვის.

ბოლოს და ბოლოს ინგლისის მთავრობა უნდა მიხვდეს, რომ კავშირის გაწყვეტა პირველ ყოვლისა საზიანოა ინგლისისათვის.

ჩვენ გუშინ გვქონდა აღნიშნული, თუ როგორ ფართოვდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური გავლენა. ბლოკადა თანდათან ირღვევა და საბჭოთა რესპუბლიკები აბამენ ეკონომიურ ურთიერთობას სხვა და სხვა ქვეყნებთან. საფრანგეთის დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში ინგლის-რუსეთის დამოკიდებულების გამწვავების მომენტში და სხვა მრავალი ფაქტები გაფრთხილებაა ინგლისისათვის.

თუ ინგლისი მაინც არჩევს განხეთქილებას საბჭოთა კავშირთან, მის ადგილს სხვები დაიჭერენ.

სწორედ ასეთი პერსპექტივის მოლოდინი უკარნახებს ინგლისის დაინტერესებულ საქმიან წრეებს მეტს სიფრთხილეს და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებას. და საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კერზონის პროვოკაციული გამოსვლა ვერ მიაღწევს იმ მიზანს, რომელსაც ის თავიდანვე ისახავდა.

წერილები კოოპერაციაზე

IV.

განვითარება და რაც შეიძლება ფართოდ ხელის შეწყობა **მასიური** კოოპერაციისათვის, ე. ი. ისეთ კოოპერაციისათვის, „სადაც **ნამდვილათ მონაწილეობას იღებენ მცხოვრებთა ნამდვილი მასები**“, აი ის სადღეისო მთავარი ლოზუნგი, რომელიც მოგვცა ჩვენ ამხ. ლენინმა.

დღემდის ჩვენ არ ვაქცევდით ჯეროვან ყურადღებას და არ ვაფასებდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში სწორედ მასიურ კოოპერაციას, თუ რას ნიშნავს ასეთ პირობებში კოოპერაციის განვითარება. დღეს კი ეს ამხ. ლენინმა აშკარა და ნათელი გახადა ჩვენთვის და მოგვცა შესაფერი და მარტივი დირექტივა.

„ჩვენში,—ამბობს ლენინი,—კოოპერაციას უყურებენ ზერელეთ, და ვერ ხედავენ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კოოპერაციას ჯერ ერთი პრინციპიალური მხრით (ნორმების საშუალებები სახელმწიფოს ხელშია), მეორე მხრით ახალ წესებზე **გლეხობისთვის უფრო მისაწვდომ, ადვილ და გასაგები გზით გადასვლისათვის**“..

„ეს კი, მთავარია. ერთი საქმეა ფანტაზიორობა სხვა და სხვა მუშათა გაერთიანების მოწყობის შესახებ სოციალიზმის ასაგებათ, მეორე საქმეა ამ სოციალიზმის აგების პრაქტიკულათ შესწავლა ისე, რომ **ყველა** წვრილ გლეხს შეეძლოს ამ აგებაში მონაწილეობის მიღება. ამ საფეხურს მივაღწიეთ ჩვენ ახლა. ეჭვს გარეშეა ის, რომ ჩვენ ძლიერ ცოტას ვსარგებლობთ მიღებულ შედეგებით“ („კომუნისტი“, 2 ივნისი)

მაშასადამე კოოპერაცია არის „გლეხობისათვის უფრო მისაწვდომი, ადვილი და გასაგები გზით გადასვლა“ სოციალიზმისაკენ. რატომ? იმიტომ, რომ კოოპერაციის საშუალებით „**ყველა** წვრილ გლეხს საშუალება ეძლევა ამ აგებაში მონაწილეობა მიიღოს“. ცხადია მონაწილეობას წვრილი გლეხი მიიღებს სოციალიზმის აღმშენებლობაში მხოლოდ მაშინ, თუ ის ჩაბმული იქნება თვით კოოპერაციაში.

ამიტომაცაა, რომ ამხ. ლენინი მთავარ ყურადღებას აქცევს სწორეთ იმას, რომ მასში რაც შეიძლება „**ნამდვილი მონაწილეობა მიიღონ მცხოვრებთა ნამდვილმა მასებმა**“.

მაგრამ რა გზით შეიძლება მოვაწყოთ ეს, როგორ უნდა მოვიქცეთ, ან და რა ზომას უნდა მივმართოთ, რომ კოოპერაციაში, „მონაწილეობა მიიღონ მცხოვრებთა ნამდვილმა მასებმა“. ხომ არ შეგვიძლიან ჩვენ მივმართოთ ძალდატანებას და ამის შემწეობით ვაიძულოთ ეს ფართო მასები მიიღონ მონაწილეობა? რასაკვირველია არა. მაშინ ის დაკარგავდა სწორეთ იმ დანიშნულებას, რომელიც ჩვენ მივაკუთვნეთ მას და არავითარი სიცოცხლის წყარო აღარ იქნებოდა შიგ. მართალია ასეთ გზას მივმართავდით წინათ სანამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავიდოდით, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც გაჩაღებული იყო სასტიკი სამოქალაქო ომი, გარშემორტყმული ვიყავით ყოველ მხრიდან დაუძინებელი მტრებით, რისთვისაც გაბატონებული გვქონდა ეგრედ წოდებული „სამხედრო კომუნიზმი“, რომელიც წარმოადგენდა აუცილებელ საფეხურს ჩვენში სოციალიზმისაკენ გადასვლისათვის. მაგრამ მდგომარეობა და ვითარება სულ სხვა იყო. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მაშინ არსებული მარაგის რაც შეიძლება ეკონომიური და რაციონალური განაწილება, ვინაიდან წარმოება დაცემული და განადგურებული იყო, ხოლო მის აღდგენაზე კი მაშინდელ პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ასეთ პირობებში ჩვენ ძალზე გვჭიროდა განმანაწილებელი ორგანო. ასეთ ორგანოთ კი სხვასთან ერთად მიჩნეულ იქნა სწორეთ ეს კოოპერაციაც. ამიტომ მისი წევრი უნდა ყოფილიყო ყველა ვისაც კი სურდა მიეღო საკვები საშუალება. სულ სხვა მდგომარეობაა დღეს, როდესაც წარმოება ღონძიერდება, ვითარდება დღეს ჩვენი ამოცანაა ეს წარმოება მოვაწყოთ კომუნისტურ წესზე და კოოპერაციაც ამ მხრივ უნდა ავამუშაოთ. აქ კი ძალდატანება შეუძლებელია. ძალდატანებით შეიძლება ვაიძულოთ ვინმე სამუშაოზე გავიდეს ან მისცეს რაიმე სახელმწიფოს, მაგრამ ძალდატანებით ყოვლად შეუძლებელია ვინმეის დაინტერესება რამეში და მით უმეტეს გლეხის დაინტერესება სოციალიზმის აღმშენებლობაში, რომელიც დღეს არსებითად არის მასიური კოოპერატიული აღმშენებლობა და საქმიანობა.

მაშასადამე დღეს მთავარი ამოცანაა სწორეთ ამ წვრილი გლეხის დაინტერესება კოოპერატიული მუშაობით და საქმიანობით, რათა მან ნამდვილი მონაწილეობა მიიღოს ასეთ მუშაობაში ხოლო როგორ შეიძლება მისი დაინტერესება ამაში? როგორ შეიძლება იმის მიღწევა, რომ გლეხმა ნამდვილათ მიიღოს მონაწილეობა კოოპერაციაში?

ამ კითხვაზედაც იძლევა ამხ. ლენინი ურყევ და ნათელ პასუხს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენ.

ის სწერს: „პრემიის მიცემა იმ გლეხისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებს კოოპერატიულ საქმიანობაში, ეს უეჭველათ სწორი და მართალი ფორმულაა, მაგრამ ამასთანავე ამ მონაწილეობის მიღების შემოწმება, ამ მონაწილეობის ღირსების და შეგნების შემოწმება, აი რაში მდგომარეობს საკითხის უმთავრესი მნიშვნელობა. როცა კოოპერატორი მიდის სოფელში და აწყობს იქ კოოპერატიულ დუქანს, მოსახლეობა ამაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ ის იხელმძღვანელებს რა თავისი სარგებლობით, დააჩქარებს მასში მონაწილეობის მიღებას“—(„კომუნისტი“ 2 ივნისი).

ე. ი. როდესაც გლეხი დაინახავს, რომ აქედან რაიმე სარგებლობის მიღება შეიძლება, უეჭველათ გახდება მისი წევრი. გლეხი ხომ უაღრესათ რეალისტია თვით ამხ. ლენინის გამოთქმით, მაშასადამე არც გასაკვირია, რომ ის დაპირებებით, რომლების განაღდება მდებარეობს მომავალში და შეიძლება შორეულ მომავალშიაც, ჩვენს გზაზე არ წამოვა და ყოველთვის მოგვთხოვს რეალურ სარგებელს. ამიტომაცაა ამბობს ამხ. ლენინი, რომ საჭიროა პრემიის მიცემა გლეხისათვის, რათა ის დავაინტერესოთ ამით და ამგვარათ მივაღებინოთ მონაწილეობა სოციალიზმის იაჩეიკაში, კოოპერაციაში. ასეთი გზით კი მივიღებთ ჩვენ სწორეთ იმ **მასიურ** კოოპერაციას, „რომელშიაც ნამდვილათ იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ნამდვილი მასები“.

ეს არის ერთი ზომა ყველა მცხოვრებთა კოოპერატიულათ შეკავშირებისა, მაგრამ ზომა, რომელიც უფრო პრაქტიკულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, და მასთან **დღესვე** ანხორციელებს რამდენიმეთ მცხოვრებთა ამ საერთო შეკავშირებას კოოპერატიულათ.

მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ მარტო ის არაა, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთოთ ფართო მასებმა კოოპერაციაში. ჩვენი მიზანია მონაწილეობა მიიღონ ამ მასებმა **ნამდვილათ**, ე. ი. „მონაწილეობა მიიღონ არა პასიურათ, არამედ აქტიურათ კოოპერატიულ ოპერაციებში“. (ნ. ლენინი). მაგრამ ამისათვის კი არ კმარა მარტო ერთი პრემიის მიცემა გლეხისათვის. საჭიროა უფრო მეტი დაუღალავი მუშაობა და დიდი დრო, სანამ ამას მივაღწევდეთ. მაგრამ მით უმეტეს საჭირო და აუცილებელია ეს.

ქ. კომუნაძე.

კომინტერნის პლენუმისათვის

„პრავდას“ წერილი კომინტერნის აღმასკომის პლენუმის ამოცანების შესახებ.

მოსკოვი. 9 ივნისი. კომინტერნის აღმასკომის მომავალ პლენუმისათვის მიძღვნილ წერილში „პრავდა“ სწერს: „მეოთხე კომუნისტურ კონგრესის შემდეგ ბურჟუაზიის შეტევა გრძელდება. მუშათა კლასზე შეტევა სწარმოებს ყველა სფეროებში.—პოლიტიკურში, ეკონომიურში და იდეოლოგიურში. კაპიტალისტურ შეტევის გაძლიერებასთან პარალელურად, ძლიერდება შემთანხმებელთა შემოტევაც:

მაგრამ, საბედნიეროდ, პროლეტარიატიც ემზადება წინააღმდეგობისათვის. მთლიანი ფრონტის იდეის წარმატება, რომელიც კომუნისტურმა ინტერნაციონალმა წამოაყენა, ამტკიცებს, რომ მუშათა მასებმა ინსტიქტიურად შეითვისეს პროლეტარულ რიგების გაერთიანებისა და განმტკიცების მთელი მნიშვნელობა შემომტევ კაპიტალისაგან თავდაცვის საქმეში.

ძველი საზოგადოების ყველა ძალების გაერთიანების გამო ჯერ კიდევ უმცირესობაში მყოფ შეგნებულ პროლეტარულ ავანგარდის წინააღმდეგ, საჭიროა განსაკუთრებით სისწორით აღნიშვნა სახეზე მყოფ ძალების, შექმნილ მდგომარეობის სწორი შეფასება და პროლეტარულ პოლიტიკის ძირითადი ხაზების მოფიქრებული აღნიშვნა თანამედროვე, რთულ ისტორიულ პერიოდისათვის.

კერძოდ საჭიროა საერთაშორისო კომუნისტურ ავანგარდის მთლიანობის გამტკიცება—იმ ძალისა, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია მოაწყოს პროლეტარიატის ნამდვილი წინააღმდეგობა მის კლასობრივ მტერთა წინააღმდეგ და საჭირო მომენტში კი წაიყვანოს პროლეტარიატი კაპიტალისტურ ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ.

III ინტერნაციონალის აღმასკომის ამ დღეებში გახსნილმა პლენუმმა უნდა გადასწყვიტოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინ მდგარი ყველა ეს საკითხები. საჭიროა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი უფრო გამაგრებული და მომზადებული გამოვიდეს ამ პლენუმიდან ბურჟუაზიის შეტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ვინემ ეს აქამდი იყო.

არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცის ის საათი, როდისაც ისტორია მოგვიხმობს ჩვენ მოქმედებისათვის. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. მაგრამ ომში წასვლის წინ საჭიროა მოქმედების განსაზღვრული გეგმის გამომუშავება—უმთავრესად ფაქტიურ და სტრატეგიულ სრული მთლიანობის დამყარება. ასეთია კომინტერნის აღმასკომის პლენუმის ამოცანა, რომელსაც ის პატიოსნად შეასრულებს“.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და ინგლისი

საბჭოთა მთავრობის პასუხი კერზონის ულტიმატუმზე

მოსკოვი: 11 ივნისი. ინგლისის მთავრობას გადაეცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა კერზონის უკანასკნელ მემორანდუმზე.

საჭიროა ნორმალური მოლაპარაკება.

აღნიშნავს რა რომ ინგლისის მთავრობა სთვლის საბჭოთა მთავრობის პასუხს დევისონის და გარდინგისათვის ფულის ანაზღაურების, თევზის ჭერის, ინგლისის ტრალერების და ვაინშტეინის წერილების საკითხში საკმარისად შეთანხმების უზრუნველსაყოფელად, ნოტა აღნიშნავს, რომ შეთანხმება აღნიშნულ პუნქტებში შეიძლებოდა მიღწეულიყო უფრო ჩქარა ნორმალურ მოლაპარაკების და არა ულტიმატურ ნოტების გზით.

საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ილტვის მშვიდობიანობისაკენ.

საბჭოთა მთავრობა სთვლის თავის პოზიციას თევზის ჭერის საკითხში სწორად, მაგრამ მზად არის, არ მოითხოვოს დაჟინებით თევზის ჭერის კონვენციის დადება და საკმარისად აღიაროს ამ საკითხში ნოტების უბრალო გაცვლა-გამოცვლა. საბჭოთა მთავრობა თანახმაა გადაიხადოს ინგლისის მთავრობის მიერ მოთხოვნილი თანხა დევისონის და სტან გარდინგის საქმის გამო. პროპაგანდის საკითხში საბჭოთა მთავრობა თანახმაა მიიღოს საფუძვლად ინგლისის მიერ შემუშავებული დეკლარაციის ტექსტი ორივე მხრივ ჩარევისაგან თავის შეკავების შესახებ, მაგრამ საჭიროთ მიაჩნია ნათელჰყოს დეკლარაცია იმ მხრივ, რათა მასში სჩანდეს, რომ ინგლისის მთავრობა მხარს არ დაუჭერს არავითარ საწინააღმდეგო ზრახვებს, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ინგლისის მოთხოვნილებები ცალმხრივია.

ნოტა აღნიშნავს, რომ მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის მხრივ არაჩვეულებრივ დათმობებზე წასვლისა, ინგლისის მთავრობა არა თუ უარს ამბობს თავის პირველ ულტიმატიურ ნოტაზე, არამედ აფართოებს თავის მოთხოვნილებებს და უმატებს ახლებს. ნოტა ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ ინგლისის მთავრობის მოთხოვნილება საბჭოთა წარმომადგენლების გაწვევის შესახებ, რომლებიც ვითომდა დამნაშავე არიან ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების იმ მუხლების დარღვევაში, რომლებიც პროპაგანდის საკითხს შეეხებიან, წარმოადგენს მეტად ცალმხრივ აქტს. საბჭოთა მთავრობამ უკვე აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობისათვის წამოყენებული ბრალდებები აგებული არიან ნაწილობრივ დამახინჯებულ, ნაწილობრივ კი შეთხზულ დოკუმენტებზე. საბჭოთა მთავრობას კი, ნამდვილი საბუთების მიხედვით, რომლებიც მის განკარგულებაში იმყოფებიან, ეჭვი არ ეპარება, რომ თუ ინგლისის მთავრობა თავის პასუხისმგებელ აგენტების მოღვაწეობას, რომელიც მიზნათ ისახავდა თურქესტანში და კავკასიაში აჯანყების მოწყობას, მიუდგებოდა იმავე საზომით, როგორსაც ის ხმარობს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების მოქმედების დაფასების დროს, მაშინ აღარ გაიმეორებდა თავის ცალმხრივ მოთხოვნილებას.

სადაო საკითხების კეთილსინდისიერი მოგვარება.

ნოტა ხაზს უსვამს, რომ საჭიროა სადაო საკითხების კეთილსინდისიერათ მოგვარება და მიუთითებს, რომ თუ სათანადო მოლაპარაკების შემდეგ აუცილებელი გახდებოდა ამა თუ იმ წარმომადგენელის გამოწვევა, საბჭოთა მთავრობა არ შეჩერდებოდა ამის წინაშე მეზობლური ურთიერთობის დასაცავად და განსამტკიცებლად.

ჩვენც მოვითხოვთ ზარალის ანაზღაურებას.

რუსეთის რევოლიუციის მიერ დაზარალებულ ინგლისის მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც კვლავ მოითხოვს ინგლისის მეორე ნოტა, საბჭოთა მთავრობა მიუთითებს, რომ ინგლისის ცალკე მოქალაქეთა ზარალი მეტად უმნიშვნელოა იმ საშინელ უბედურებასთან შედარებით, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა რესპუბლიკების მრავალმილიონიან მცხოვრებთ ანტანტის სახელმწიფოების ინტერვენციის წყალობით. „საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთში, სამხრეთში, დასავლეთში და აღმოსავლეთში,—ნათქვამია ნოტაში,—არიან ოლქები, სადაც ნანგრევები და საფლავები მოითხოვენ ანაზღაურებას არა ნაკლებ, ვიდრე ბელგიისა და საფრანგეთის დანგრეული ოლქები. საბჭოთა მთავრობა მზად არის აუნაზღაუროს ზარალი ინგლისის მოქალაქეებს, მაგრამ თავის მხრივ მოითხოვს ინგლისის ინტერვენციით საბჭოთა რუსეთისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას“.

კავშირის გაწყვეტა პოლიტიკური უბედურება იქნებოდა.

ნოტა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას არა მარტო ეკონომიურ მინუსათ თვლის, არამედ პოლიტიკურ უბედურებათ მიაჩნია. ეს უბედურება ბევრად გასცილდებოდა ინგლის-რუსეთის კონფლიქტის ფარგლებს. გამოდის რა ამ დებულებიდან საბჭოთა მთავრობა მიდის დიდ დათმობებზე.

მხოლოდ ინგლისი იქნება პასუხისმგებელი.

ინგლისის მთავრობის მიერ რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან შეხვედრაზე უარის თქმა იმის მაჩვენებელია, რომ დაბრკოლებები კონფლიქტის მოგვარების გზაზე რუსეთიდან არ გამომდინარეობენ. ამიტომ, კავშირის გაწყვეტის შესაძლებლობისათვის პასუხისმგებლობა საბჭოთა მთავრობას ვერ დაეკისრება. საბჭოთა მთავრობა მაინც გამოსთქვამს იმედს, რომ ინგლისის მთავრობა გადასდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდეგში ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

საკონტრიბუციო საკითხი

კერზონის თათბირი ელჩებთან.

ლონდონი. 12 ივნისი. „დეილი მეილის“ ცნობით გუშინ დიპლომატიურ სფეროებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკონტრიბუციო საკითხში მოკავშირეების აზრის შესათანხმებლათ. ამ მიზნით საფრანგეთის ელჩს სენტ-ოლერს ხანგრძლივი საუბარი ქონდა კერზონთან, რომელსაც გააცნო საფრანგეთ-ბელგიის პოზიცია საკონტრიბუციო საკითხში და მათი დამოკიდებულება გერმანიის ახალი წინადადებებისადმი, განსაკუთრებით კი რურის ევაკუაციის საკითხისადმი. პუანკარე საჭიროდ სთვლის, რომ ინგლისმა მიიღოს მონაწილეობა საკონტრიბუციო საკითხის განხილვაში და გერმანიის მთავრობისათვის მოკავშირეთა საერთო ნოტის გაგზავნაში, სადაც გერმანიას უნდა მოეთხოვოს რურში პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა. თუ ასეთი ნოტა გაგზავნილი იქნა და გერმანია დასთანხმდა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, კონფერენციის მოწვევას საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად არაფერი შეუშლის ხელს.

კერზონმა მიიღო ბელგიის ელჩი, რომელსაც გააცნო ინგლისის გეგმა საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად.

კერზონმა მიიღო აგრეთვე ბერლინიდან დაბრუნებული ინგლისის ელჩი და იტალიის ელჩი ლონდონში.

პასუხს გაურბის.

ლონდონი. 12 ივნისი. თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა მოსთხოვეს ბალდვინს გაეკეთებია მოხსენება რურში მდგომარეობის შესახებ. ბალდვინმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით ასეთი მოხსენების გაკეთება მას არ შეუძლია. შეკითხვაზე თუ რა ზომებს იღებს მთავრობის საკონტრიბუციო გადასახადებში ინგლისის წილის უზრუნველსაყოფად, ბალდვინმა უპასუხა, რომ ამის შესახებ მას არაფერი შეუძლია თქვას, გარდა იმისა, რომ ინგლისის მთავრობა ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

უკმაყოფილო არიან ინგლისის პოზიციით.

პარიზი. 12 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები უკმაყოფილო არიან ინგლისის პოზიციით და ერთხმად აცხადებენ, რომ რურის ევაკუაცია შეუძლებელია თუ გერმანიამ რეალური გარანტიები არ მისცა საფრანგეთსო.

გაზეთი „მატენ“ სწერს. „ინგლისი განაგრძობს გერმანიისათვის იმედების მიცემას, მაგრამ მას არ უნდა ქონდეს იმედი, რომ აქედან ის რაიმე სარგებლობას მიიღებს. საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს თავისი პოლიტიკა ბოლომდი მიიყვანოს“.

„ეკლერი“ ურჩევს პუანკარეს, ვინაიდან ინგლისი ჟინიანობას იჩენს, სეპარატიული ნოტით უპასუხოს გერმანიას და მტკიცე უარი უთხრას მას მისი უკანასკნელი წინადადებების მიღებაზე“.

ლოიდ გრიბი გერმანიის უკანასკნელ წინადადებათა შესახებ.

ლონდონი. 10 ივნისი. გუშინ ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ლოიდ გრიბმა წარმოსთქვა სიტყვა კარდიფში, სადაც მან განაცხადა, რომ ევროპაში უმნიშვნელოვანეს საკითხათ ითვლება ამჟამად საკონტრიბუციო საკითხი. მან გამოსთქვა იმედი, რომ მოკავშირენი თავის დროზე გასცემენ პასუხს გერმანიას. მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, რა ფარგლებში შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს გერმანიის გადახდის უნარიანობა და რომელი გზა იქნება უფრო სწორი გერმანიისაგან გადასახადების მისაღებად. ლოიდ გრიბი ფიქრობს, რომ შორსმჭვრეტელი ინგლისელები უცქერიან საკითხს საფრანგეთის უშიშროების შესახებ მომავალ თავდასხმისაგან, იმავე სერიოზულობით როგორც საკონტრიბუციო საკითხს. მინისტრი ფიქრობს, რომ ორივე მხარის თანხმობით შეიძლება მიღწეულ იქნას კონტრიბუციის გადახდა. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები თანხმობით იმოქმედებენ. თუ ისინი ცალ-ცალკე გამოვლიან, მაშინ არც ერთი მომწიფებული საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს.

პუანკარეს ჯიუტობა.

ბერლინი. 10 ივნისი. პუანკარემ განაცხადა, სენატის გარეშე საქმეთა კომისიაში, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები უარს ამბობენ განიხილონ გერმანიის რაიმე წინადადება, სანამ პასიური წინააღმდეგობა არ იქნება შეწყვეტილი. ლონდონის და რომის მთავრობებს უკვე ეცნობათ ამის შესახებ.

ამერიკის მთავრობის წრეებში.

ბერლინი. 10 ივნისი. ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიამ არ აღნიშნა რა კონტრიბუციის საერთო ჯამი და წარმოადგინა რა მნიშვნელოვანი გარანტიები თავის უკანასკნელ მემორანდუმით გადადგა დიდი ნაბიჯი. **ნიუ-იორკის გაზეთების უმრავლესობა ენერგიულად ილაშქრებს პუანკარეს იმ პოზიციის წინააღმდეგ,** რომელიც მან დაიკავა გერმანიის წინადადებათა მიმართ. საერთოდ ამერიკის პრესა ესალმება გერმანიის წინადადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, ხაზს უსვამს რა, რომ ასეთი კონფერენციის მოწვევის აზრი პირველად გამოსთქვა ამერიკის სენატორმა ხიუზმა. ამერიკის პრესის მხოლოდ ერთი ნაწილი არაფერს სწერს გერმანიის მემორანდუმის შესახებ.

მაკკენის საკონტრიბუციო გეგმა.

ბერლინი. 10 ივნისი. გაზ. „პელ მელ გაზეტის“ ცნობით, პრემიერ ბალდვინთან და გარეშე საქმეთა მინისტრ კერზონთან თათბირის შემდეგ მაკ-კენმა შეადგინა საკონტრიბუციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინგლისის დამოუკიდებელ გამოსვლას საკონტრიბუციო საკითხში, ხოლო ინგლისის მოქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საფრანგეთის ინტერესებს. ინგლისის გამოსვლის მიზანი იქნება, მიეცეს გერმანიას საშუალება განამტკიცოს მარკის კურსი, რომლის დაცემისათვის, მაკ-კენის აზრით, გერმანია არ არის პასუხის მგებელი.—და აგრეთვე საზღვარგარეთ გერმანიის კრედიტის გადიდება საჭიროა იმისათვის, რათა საფრანგეთს ახლო მომავალში აუნაზღაურდეს 10,000 მილ. მარკა ოქროთი. ამ უკანასკნელი მიზნით გერმანიის კრედიტორებმა უნდა მისცენ მას 3 წლის მორატორიუმი.

რა მოჰყვება პუანკარეს ჯიუტობას.

ბერლინი. 10 ივნისი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ თუ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები ხელახლა იტყვიან უარს გადასცენ გერმანიის უნარიანობის საკითხი ექსპერტთა საერთაშორისო კომისიას, მაშინ ინგლისი, ამერიკა, იტალია და ნეიტრალური სახელმწიფოები განიხილავენ ამ საკითხს საფრანგეთის და ბელგიის პოზიციისაგან დამოუკიდებლად.

კუნოს მთავარი მიზანი.

პარიზი. 10 ივნისი. მიუნსტერში წარმოთქმულ სიტყვაში გერმანიის კანცლერმა კუნომ განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობის მთავარ მიზანს შეადგენს რურში წესრიგის აღდგენა. შემდეგ კუნომ განაცხადა, რომ პასიური წინააღმდეგობა გამოწვეულია არა მთავრობის მიერ და ამიტომ მას არ შეუძლია მისი შეწყვეტაო.

გერმანია და ანტანტა

საბჭოთა ბრძოლა აქტიური და არა პასიური.

„როტე ფანე“ სწერს; „რურის მშრომელმა მოსახლეობამ უნდა შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა, რადგანაც ბურჟუაზიამ დაამტკიცა ღალატი ეროვნული საქმისადმი, მაგრამ ეს არ იქნება მუშათა კლასის კაპიტულიაცია პუანკარეს წინაშე, ვინაიდან მუშები მაშინვე მიმართავენ ენერგიას პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ; რაც იქნება ამავე დროს მზადება საფრანგეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო თავდასხმისათვის. თუმცაღა საფრანგეთმა დაამარცხა გახრწნის გზაზე შემდგარი ბურჟუაზია გერმანიის, მაგრამ საფრანგეთის იმპერიალიზმს კიდევ დასჭირდება იარაღის აღება გერმანიის ამხედრებული პროლეტარიატის წინააღმდეგ“.

კუნო გერმანიის ნოტის შესახებ.

ბერლინი. 10 ივნისი. მიუნსტერში პრესის წარმომადგენლების ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, კუნომ აღნიშნა, რომ გერმანიის უკანასკნელი მემორანდუმი მაისის ნოტის დამატებაა და შიდ მოხსენებულია პასუხი მოკავშირეების მხოლოდ ორ კითხვაზე: კონტრიბუციის რაოდენობისა და გარანტიების შესახებ. კუნომ განაცხადა, რომ მთავრობას მრეწველებისა და მუშების იმედი აქვს, რომელნიც ერთნაირად გაიღებენ საჭირო მსხვერპლს.

გერმანიამ უკვე გადიხადა 42 მილიარდი ოქროთი.

კუნომ აღნიშნა, რომ, ექსპერტების გამოანგარიშებით, **გერმანიამ 1922 წლის დასასრულამდე გადაიხადა 42 მილიარდზე მეტი ოქროთი; ეს თანხა შევსებულია საოკუპაციო ხარჯების აუნაზღაურებელ შემდეგი გადასახადებით 54 მილიარდ ოქროს მარკამდი.**

ოკუპაციის მსხვერპლები.

შეეხო რა „პასიურ წინააღმდეგობის“ საკითხს, კუნომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შეიარაღებულ ოკუპანტების ხელებიდან დაიღუპა 50 მეტი გერმანელი. რამდენიმე ასეული იტანჯება ციხეებში და 50.000 მეტი გადასახლებულია დაკავებულ ოლქებიდან. „წინააღმდეგობა, განაცხადა კუნომ, აღმოცენდა ხალხის გულის სიღრმიდან, ახალი უსამართლობანი კიდევ უფრო აძლიერებენ წინააღმდეგობის გადაწყვეტილებას. ბრძოლის ფულებით უზრუნველყოფა რურში ხდება კერძო ინიციატივით, ეს დახმარება, კუნოს აზრით, არ უნდა მოისპოს“.

კუნო წინააღმდეგია რეინის, რურის, მოზელისა და საარის მიწების გაყიდვის.

კუნომ განაცხადა, რომ რეინის, მოზელის, საარის და რურის გერმანული მიწები არავითარ ფასით არ უნდა იქნეს გაყიდული. აგრეთვე უარყოფილ უნდა იქნეს რეინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნის იდეა.

„ტან“-ი გერმანიის მემორანდუმის შესახებ.

პარიზი. 9 ივნისი. „ტან“-ი სწერს: თუ ინგლისის მთავრობა გერმანიის ახალ წინადადებას დამაკმაყოფილებლად ჩასთვლის და საფრანგეთისაგან მოითხოვს პასუხს, გერმანიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტამდე. მაშინ ამითი დაამტკიცებს, რომ იგი გერმანიასთან საერთო ბანაკში იმყოფება.

რამენაირათ.

პარიზი. 9 ივნისი. პუანკარემ განაცხადა: საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვთ არ განიხილონ გერმინიის არც ერთი წინადადება, სანამ რურში პასიური წინააღმდეგობა არ შესწყდება. პარიზსა, ლონდონსა და ბრიუსელში გაცხოველებული მოლაპარაკება სწარმოებს, რათა სარეპარაციო საკითხი რამენაირათ შეთანხმებულის ძალით გადასწყვიტონ.

მთავარი ყურადღება გერმანიის „პასიურ წინააღმდეგობისაკენ“ არის მიქცეული.

ბერლინი. 9 ივნისი. გერმანიის საზოგადოებრივი წრეების მთელი ყურადღება ექცევა ამ ჟამად პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის საკითხს, რაც წარმოადგენს წინასწარ პირობის მოლაპარაკების დაწყებისათვის.

მემარცხენეებს ეშინიათ, მემარჯვენეები თანახმა არიან კომპრომისზე.

სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთა, რომელიც შეადგენს პროფესიონალური ოპოზიციის ცენტრს, წინააღმდეგია პასიური წინააღმდეგობის გაგრძელების. მემარჯვენე ფრთა ცდილობს საქმე დაამთავროს კომპრომისით, შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა იმ შემთხვევაში, თუ ფრანგები შესწყვეტენ მათ ეკონომიურ პოლიტიკას რურში და დააბრუნებენ ყველა დაპატიმრებულ-გადასახლებულებს.

საფრანგეთი მოითხოვს ოფიციალურ უარს.

„ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ცნობით, საფრანგეთმა გადასწყვიტა ანგარიში გაუწიოს მხოლოდ გერმანიის ოფიციალურ განცხადებას პასიური წი-

ნააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. ცენტრის ბურჟუაზიული პარტიები მზად არიან ჰპოვონ გამოსავალი მდგომარეობიდან წმინდა ფორმალური დათმობის გზით, ფიქრობენ რა, რომ, მიუხედავად ოფიციალურ ბრძანებისა პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ, მცხოვრებლები მაინც შეეცდებიან ნაწილობრივ წინააღმდეგობის გაგრძელებას.

„პასიურ წინააღმდეგობაზე უარის თქმა—გერმანიის დამარცხება.

გერმანიის ნაციონალისტების უმრავლესობა იზიარებს რეიხსტაგის დეპუტატის კვანცის თვალსაზრისს, რომლის აზრითაც პასიურ წინააღმდეგობაზე უარის თქმა ნიშნავს გერმანიის კაპიტულიაციას და მარცხს. კუნოს კაბინეტი ასეთ კაპიტულიაციას არ მოაწერს ხელს.

სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში

ბურჟუაზიული გადატრიალება.

ლონდონი. 10 ივნისი. **დღეს მიღებულ ცნობების თანახმად, გუშინ დილით ბულგარეთში გადატრიალება მოხდა. მთავრობა ჩამოგდებულია მარჯვენა ოფიცერთა ორგანიზაციის მიერ, რომელსაც გენერალი ლაზარევი ხელმძღვანელობდა. ყველა მინისტრები დატუსაღებულია, გარდა სტამბულინსკისა, რომლის ბედიც გამოურკვეველია. შედგენილია ახალი მთავრობა ყველა ოპოზიციონური პარტიების, გარდა კომუნისტების, წარმომადგენლების შემადგენლობით.**

ბურჟუაზიამ ვერ მოითმინა.

ვენა. 10 ივნისი. **გაიმარჯვა რა არჩევნებში, ბულგარეთის პრემიერს სტამბულინსკის განზრახვა ჰქონდა ეროვნული კრება დამფუძნებელ კრებად გადაექცია და კონსტიტუციის შემუშავებას ფიქრობდა, რომელიც უზრუნველყოფდა გლეხურ პარტიის მუდმივ უმრავლესობას სახელმწიფოში. ეს იყო ბურჟუაზიულ პარტიებისათვის უკანასკნელი მუჯლუგუნი გადატრიალების მოსახდენად.**

ბულგარეთის გადატრიალება გამოიწვევს რეაქციას.

მოსკოვი. 11 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ამხ. სანდომირსკიმ სთქვა, რომ ბულგარეთში მომხდარ გადატრიალების მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სტამბულინსკის ბრძოლა მაკედონიის ავტონომისტებთან, რომელნიც მხარს უჭერდნენ ბულგარეთის რეაქციონერებსო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბულგარეთის ახალი კაბინეტი აიღებს კიდევ უფრო მემარჯვენე გეზს და მიუახლოვდება რეაქციასო.

საბჭოთა რუსეთს შეუძლია დამშვიდებით უცქიროს მომავალს, რადგან ბულგარეთის მშრომელთა მასების სიმპატიები რუსეთის მხარეზეა და დღითი-დღე იზრდებაო.

ლოზანა გაკვირვებულია.

ლოზანა. 10 ივნისი. ცნობამ ბულგარეთში გადატრიალების მოხდენის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის წრეებში. ბულგარეთის წარმომადგენელმა სტაროვმა საუბარში განაცხადა, რომ გადატრიალება ბულგარეთში მისთვის სრულიად მოულოდნელია. სტაროვს ეშინია რეაქციის. მისი სიტყვით, აგრარული პარტია სტამბულინსკის მეთაურობით მეტად ძლიერია და ის არ დაემორჩილება რეპრესიებს.

ახალ პრემიერის განცხადება.

ბერლინი. 12 ივნისი. ბულგარეთის ახალმა პრემიერმა პროფესორმა ცანკოვმა განაცხადა, რომ კაბინეტი შეეცდება არსებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება და შინაურ და საგარეო მშვიდობიანობის დაცვას.

მეფის მდგომარეობა განმტკიცდა.

ბერლინი. 12 ივნისი. ბულგარეთის მეფის მდგომარეობა, გადატრიალების გამო, არა თუ არ შერყეულა, არამედ კიდეც განმტკიცდა.

ახალ კაბინეტს მხარს უჭერს ბურჟუაზიის დიდი უმრავლესობა. გერმანიის პრესა, გარდა კომუნისტურისა, ესალმება გადატრიალებას.

ახალი კაბინეტის შემადგენლობა.

ბერლინი. 12 ივნისი. ბულგარეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია: პრემიერ მინისტრი—პროფესორი ცანკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი—გენერალი რუსსოვი, მიწათ-მოქმედების მინისტრი—პროფესორი მოლოვი, იგივე სახალხო განათლების მინისტრი, იუსტიციის მინისტრი—სმილოვი, ფინანსთა მინისტრი—ტოდოროვი, ვაჭრობის მინისტრი—ბობოშჩევსკი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—სტეპანჩოვი და გზათა მინისტრი—კარზალოვი, უკანასკნელი სოციალისტია.

რეაქციონერები გამოეხმაურენ.

ბერლინი. 12 ივნისი. ბულგარეთში მომხდარმა გადატრიალებამ საბაბი მისცა გერმანიის რეაქციონურ გაზეთებს დაეწყოთ ახალი კამპანია; ისინი მიუთითებენ ბულგარეთის მაგალითზე, სადაც სამხედრო პირთა მცირეოდენმა, მაგრამ გამბედავმა ჯგუფმა წარმატებით მოახერხა მთავრობის ჩამოგდება. რეაქციონული პრესა ფიქრობს, რომ გერმანიაშიაც ადვილია რესპუბლიკანური მთავრობის დამხობა და მონარქიის აღდგენა.

გლეხთა აჯანყების საფრთხე.

პარიზი. 12 ივნისი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბულგარეთში ეშინიათ გლეხთა აჯანყების ახალი მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო რკინის გზის ყველა სადგურებს იცავენ ჯარები, რათა გლეხთა რაზმებს საშუალება არ მისცენ გაერთიანებისა. მდგომარეობა სერიოზულად ითვლება, რადგან ჩრდილოეთში ეწყობიან გლეხთა რაზმები და რამდენიმე პუნქტში უკვე მოხდა შეტაკებანი.

ყოფილ მინისტრების განთავისუფლება.

პარიზი. 12 ივნისი. გადატრიალების შემდეგ ბულგარეთის ყველა ყოფილი მინისტრები, რომელნიც სტამბულინსკიმ ციხეში დააპატიმრა, განთავისუფლებულ იქნენ.

სტამბულინსკის ბედი.

პარიზი. 12 ივნისი. გავრცელებულ ხმების თანახმად, სტამბულინსკი დაიმალა თავის სოფელში სლავორიცაში, სადაც ის იმყოფებოდა გაძლიერებულ ზედამხედველობის ქვეშ.

როგორ მოხდა გადატრიალება.

პარიზი. 12 ივნისი. გაზ. „ტაიმსის“ ცნობით **ბულგარეთში გადატრიალება ძალიან სწრაფად მოხდა.** წინასწარ მოხდა საჭირო დაპატიმრებანი, რის შემდეგ პროფესორი ცანკოვი და გენერალი ლაზარევი მივიდნენ სასახლეში მეფესთან და გააცნეს მას შექმნილი მდგომარეობა. მეფემ ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ხელი მოაწერა დროებით ბურჟუაზიულ კაბინეტის დანიშვნის ბრძანებას, რის შემდეგ ცანკოვმა ინახულა ანტანტის ყველა დიპლომატიური მისიები და აცნობა მათ გადატრიალების შესახებ.

რურის ოლქის ოკუპაცია

საალყო წესები დორტმუნდში.

ბერლინი. 11 ივნისი დორტმუნდში გამოცხადებულია საალყო წესები.

დაპატიმრება დორტმუნდში.

ბერლინი. 11 ივნისი. **ორი დღის განმავლობაში ფრანგმა ჯარისკაცებმა მოკლეს ხუთი კაცი, რომლებიც არ შეჩერდნენ მათ გაფრთხილებაზე.** დაატუსაღეს მრავალი მოქალაქე, მათ შორის ქალაქის ბურგომისტრი. ქალაქის თვითმართველობა ჯარებს უჭირავს.

საოკუპაციო ციხეების საშინელებანი.

ბერლინი. 11 ივნისი. გერმანიის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ ფონ-ვიტერფელდმა „ბერლინერ ტაგებლატის“ თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ოკუპაციით დაკავებულ ტერიტორიაზე 30 ციხე სავსეა დატუსაღებულ გერმანელ მოქალაქეებით. **დატუსაღებულებს საშინელის სისასტიკით ეპყრობიან.** განსაკუთრებით სასტიკად ეპყრობიან დატუსაღებულებს გამომძიებლები. ესენში დატუსაღებული გერმანელები მოთავსებული არიან საშინლათ ბინძურ შენობაში, რომელიც სავსეა მბენარებით.

ფაშიზმის წინააღმდეგ

საფრანგეთის მუშები დარაზმულათ მოქმედებენ.

პარიზი. 9 ივნისი. ორშაბათს შრომის კონფედერაციამ გამართა კრება მუშათა ორგანიზაციების დელეგატებისა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა შესამუშავებლად.

ფაშისტი-მუშები გონს მოდიან

ბერლინი. 10 ივნისი. „როტეფანე“ იუწყება, **რომ ზემო სილეზიის მუშათა ფაშისტურმა ნაწილებმა უარი განაცხადეს ბელადების მორჩილებაზე და გაფიცულებს მიემხრნენ. გაზეთი აღნიშნავს: იტალიაში ფაშიზმის რღვევამ თავი იჩინა** მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა ძალაუფლება იგდეს ხელში, გერმანიაში კი ფაშიზმის შინაგანი რღვევის ნიშნები აშკარავდება თვითონ კლასიურ ბრძოლის პროცესში.

უნგრეთის სოციალ-დემოკრატია

ვენა. 8 ივნისი. ფაშისტების მიერ უნგრეთის ხუთ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებისათვის სიკვდილის მუქარის გამოცხადებასთან დაკავშირებით, **უნგრეთის ეროვნულ კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ენერგიული კამპანია დაიწყო ფაშისტების** წინააღმდეგ. პარტიის მდივანმა ფარკასმა განაცხადა, რომ პოლიციის უძლურების გამო, რომელიც ფაშისტების ტერორის ქვეშ იმყოფება პროლეტარიატს თვითონ მოუხდება თავის თავდაცვისათვის ზომების მიღება.

ახლო აღმოსავლეთში

პასუხისგებაში აძლევენ.

ანგორა. 10 ივნისი. გაზეთ „ტევჰიდი ეფკიარის“ ცნობით, იმ პირებს, რომლებსაც ბრალი ედებოდათ კომუნიზმის გავრცელებაში და გათავისუფლებული იქნენ სტამბოლის სასამართლოს მიერ, განზრახვა აქვთ მოითხოვონ პოლიციის მიცემა პასუხისგებაში მათი არაკანონიერათ დატუსაღების გამო.

ქალის არჩევა.

ანგორა. 10 ივნისი. სმირნაში მასწავლებელთა კავშირის გამგეობაში აირჩიეს ქალი ვაშია-ხანუმ.

გარიგება ოსმალეთსა და ამერიკას შორის.

ნიუ-იორკი 10 ივნისი. ამერიკელმა საზოგადოებამ „ოსმალეთში ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება“-მ დასდო ოსმალეთის მთავრობასთან საკონცესიო ხელშეკრულება 2500 მილის მანძილზე რკინის გზის ხაზის გასაყვანად, ნავთის საექსპლოატაციო და საზოგადოებისათვის რკინის გზის ორივე მხარეზე მდებარე მიწების გადასაცემად.

ლტოლვა რუსეთისაკენ.

ოდესა. 11 ივნისი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ **შავ ზღვაში შემოსრულ გემზე—„მარტა“-ზე, რომელიც წინად რუსეთს ეკუთვნოდა, 4 მეზღვაურმა სცადა ხელში ჩაეგდო გემის მმართველობა და მოეყვანა ის ოდესაში.** ცდა უშედეგოდ დამთავრდა, რადგანაც მოსამსახურეების უმეტესობა არა რუსები იყვნენ.

აშინებენ.

ანგორა. 11 ივნისი. „ენი გიუნი“ სწერს: „მდგომარეობა ლოზანაში ბურუსით არის მოცული, ფრანგები ამწვავებენ მდგომარეობას. ისინი ოსმალეთის დელეგაციას აშინებდნენ კონფერენციის ჩაშლით. მოკავშირეებს არ სურთ შესცვალონ ვაჭრული პოლიტიკა“.

რუსეთი და იაპონია

იაპონია გვერდს უვლის პირდაპირ პასუხს.

ტოკიო. 8 ივნისი. რუსეთთან დაახლოვების მიზნისათვის აგიტაციის გასაწევად სხვა და სხვა ადგილებში მგზავრობიდან დაბრუნებულმა გოტომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იაპონიის მთავრობამ არა პირდაპირი პასუხი გასცა იმ კითხვაზე, მოითხოვს თუ არა ის რუსეთისაგან გაუქმებულ ხელშეკრულებებისა და ვალების ცნობას. გოტო ფიქრობს, რომ იაპონია განზრახ წამოაყენებს მიუღებელ პირობებს.

იაპონიის მთავრობამ დაადგინა არ წაუყენოს თავისი პირობები იოფფეს და შეატყობინოს მას, რომ იაპონიის მთავრობა მზათაა შეუდგეს წინასწარ მოლაპარაკებას, მაგრამ იოფფეს მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს ის მიუღებლად სთვლის.

რუსეთი და სერბია

საჭიროა მოწესრიგდეს რუსეთ-სერბიის ურთიერთობა.

ვენა. 9 ივნისი. ბელგრადის სკუპშინაში მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს, სერბიის გლეხთა პარტიის ბელადმა იოვინოვიჩმა მოითხოვა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოწესრიგდეს ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან.

დახმარება რუსეთის დამშეულებს.

ვენა 9 ივნისი. ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი დმიტრევიჩი დღეს რუსეთში მიემგზავრება, რათა რუსეთის დამშეულებს გაუნაწილოს სამ[illegible]თ-სლავიაში შეკრებილი სურსათი.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა

მოითხოვენ რუსეთის ცნობას

ნიუ-იორკი. 8 ივნისი. გაზეთებში მოთავსებულია საუბარი სენატორ ქილერთან, რომელმაც განაცხადა, **რომ ამერიკის მთავრობამ უნდა იცნოს საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რადგან უკანასკნელმა საკმაოთ დაამტკიცა თავისი სიმტკიცეო.** ამის გამო „იუნაიტედ-პრესს“ სწერს, **რომ რუსეთის მთავრობის არ ცნობა ეწინააღმდეგება ამერიკის ტრადიციებსო.**

ფინეთი

ფინეთი კმაყოფილია რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულებით

ჰელსინგფორსი. 8 ივნისი. რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულობის გამო ნავოსნობის შესახებ ფინეთის გაზეთებში ხაზს გასმით აღნიშნავენ, რომ ამ ხელშეკრულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფინლანდიის ლადოგის ტბის მხარიდან ხე-ტყის გაზიდვისათვის.

საფრანგეთი

პოლონელ მუშათა ორგანიზაცია საფრანგეთში

პარიზი. 9 ივნისი. საფრანგეთის მაღაროს მუშათა ფედერაციამ, რომელიც შრომის ერთიან კონფედერაციას ეხრობიან, დაადგინა შეაკავშიროს საფრანგეთში მყოფი 50,000 პოლონელი მუშა.

მიტინგი ჟორესის ხსოვნის აღსანიშნავად

პარიზი. 9 ივნისი. **მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკმა სოციალისტებთან ერთად ტულუზაში გამართა მიტინგი ჟორესის ხსოვნის აღსანიშნავად.** თავმჯდომარეობდა მენდავი. ვანდერველდემ წაიკითხა ანატოლ ფრანსის წერილი რომლითაც იგი მიესალმებოდა სოციალისტურ პარტიათა და მემარცხენე რესპუბლიკელთა დაახლოვებას.

გელეინის განთავისუფლება

პარიზი. 11 ივნისი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა **დაუყოვნებლივ გადაასახლონ საფრანგეთის საზღვრებიდან გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი გელეინი,** რომელიც ახლა ციხეში იმყოფება. გელეინს გერმანიის საზღვრებამდი „გააცილებს“ საფრანგეთის მცველ-მხლებელთა რაზმი.

პირში ბურთს სჩრიან

პარიზი. 10 ივნისი. ჟორესის ხსოვნის აღსანიშნავი მანიფესტაცია, რომელიც კომუნისტებმა მოაწყვეს, საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა.

მწერალ პიერ ლოტის გარდაცვალება

პარიზი. 10 ივნისი. გარდაიცვალა მწერალი პიერ ლოტი.

ქედს იხრიან კაპიტალისტების ხელისუფლების წინაშე

ბერლინი. 10 ივნისი. რათა გამოეაშკარავებიათ სოციალ დემოკრატების ნამდვილი სახე, **კომუნისტებმა რეიხსტაგში გამართულ დებატების დროს რომელიც ეხებოდა ცხოვრების გაძვირების საკითხს, წინადადება შეიტანეს უნდობლობა გამოეცხადებიათ კუნოს მთავრობისათვის.** ამ წინადადებას დიდი წინააღმდეგობით შეხვდნენ სოციალ-დემოკრატები და კიდეც უარყვეს იგი.

სპარსეთი

სოციალისტების ლიდერის მოკვლა

თეირანი. 7 ივნისი. **ქერმანშახში რეაქციონერებმა მოკლეს სოციალისტურ პარტიის ლიდერი, მასწავლებელი კაკასი.**

პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამების გამო

თეირანი. 7 ივნისი. სპარსეთის რეაქციონურ გაზეთ „მერშეაზად“-ის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცხარე წერილი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ცილისწამებით. გაზეთის ნომრებს ქუჩებშივე სწვავდა გაავებული ბრბო.

იაპონია

სიმულიაციას ეწევიან კომუნისტური შეთქმულობით

ტოკიო. 8 ივნისი. **ტოკიოში მოხდა 100-დე სოციალისტებისა და კომუნისტების დატუსაღება.** ფიქრობენ, რომ პოლიციამ განგებ შეთხზა კომუნისტური ორგანიზაციის არსებობა, რომ ამით ხელი შეუშალოს რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებას.

გერმანია

საკონტროლო კომისია ელჩების საბჭოსთან

ბერლინი. 10 ივნისი. ბერლინში მიღებულია ცნობა ელჩების საბჭოსაგან, რომ საკონტროლო კომისიამ მოქმედება განაახლა.

საქსონიის კომპარტიის მოწოდება

ბერლინი. 10 ივნისი. **საქსონიის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ურჩევს ცაიგნერის მთავრობას ერთხელ და სამუდამოთ აიღოს ხელი თავის პოლიტიკაზე.**

სოციალ-დემოკრატები უარს ამბობენ ერთიან ფრონტზე

ბერლინი. 10 ივნისი. **ტიურინგიაში მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის შეწყდა, რადგან სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კონფერენციის მოწვევაზე, მუშათა თავდაცვის რაზმების შედგენაზე და მუშური მთავრობის შექმნაზე.**

იტალია

სერრატი განთავისუფლეს

რომი. 7 ივნისი. გუშინ სატუსაღოდან განთავისუფლეს სერრატი.

ესპანია

თანაგრძნობის გაფიცვა

პარიზი. 8 ივნისი. ტრანსპორტის მუშათა გაფიცვის თანაგრძნობისათვის ბარსელონაში გაიფიცა 50,000 მუშა სხვა კოოპერატივებისა.

პოლონეთი

კატორღა კომპარტიის წევრობისათვის

ვარშავა. 9 ივნისი. **საავადმყოფო კასის კანდიდატებს სლავინსკის, ემიევიჩს და სიმბულას მიუსაჯეს ოთხი წლის კატორღა კომპარტიის წევრობისათვის.**

ბულგარეთი

სამხედრო გადატრიალება

ბერლინი. 10 ივნისი. გაზ. „**ფოსსიშე ცაიტუნგის“ ცნობით სოფიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. დაატუსაღეს მთავრობის მომხრე პარლამენტის დეპუტატები. მთავრობის ყველა დაწესებულებები ჯარებს უჭირავთ. შესდგა ახალი მთავრობა პროფესორ ცანკოვის მეთაურობით.**

არავითარი დათმობა

ბერლინი. 10 ივნისი. ანგორის სახალხო კომისართა საბჭომ ისმეტ ფაშას ლოზანაში გაუგზავნა ინსტრუქცია უარი სთქვას ყოველგვარ დათმობებზე ვალის გადახდის საკითხში. **როგორც სჩანს მოკავშირეები მოითხოვენ ოსმალეთისაგან ვალების გადახდას ოქროთი. მაგრამ თანახმა არიან მისცენ ოსმალეთს განსაზღვრული ვადა ამისათვის.**

ოსმალეთი.

კომუნიზმის გავრცელებაში ბრალდებულთა განთავისუფლება.

ანგორა. 7 ივნისი. სტამბოლის სასამართლომ დაადგინა განთავისუფლოს კომუნიზმის გავრცელებაში ყველა ბრალდებული.

წითელი წარმატებანი

რუსეთი.

არჩევნები ამურზე.

ბლაგოვეშჩენსკი. 8 ივნისი. ამურის საგუბერნიო ყრილობაზე სოფლელმა ამომრჩევლებმა მხოლოდ ის კანდიდატები აირჩიეს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე ჯგუფებმა წამოაყენეს.

თბილისის საბჭოს პლენუმი

საერთაშორისო მდგომარეობა

11 ივნისს სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად. პლენუმზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ამხ. მამია ორახელაშვილმა.**

ამხ. მამია ორახელაშვილმა ვრცლად დაახასიათა ფაშიზმის ბუნება და აღნიშნა, რომ ფაშიზმი ფაქტიურად ბურჟუაზიის მილიცია არისო. ამის შემდეგ მომხსენებელი შეუდგა კერზონის ნოტის განხილვას და სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობა ბევრ დათმობებზე წავიდა ყველა კითხვებში გარდა აღმოსავლეთის საკითხისა.

ამხ. მამია შეეხო ინგლისის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ სინამდვილეში ინგლისში პარლამენტი არ არსებობს, რადგან ყველა საკითხები წინასწარ ირჩევა კონსერვატორების პარტიაში, ინგლის—საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობების მდგომარეობა არ არის მტკიცე, რადგან მათ წინააღმდეგ სდგას მუშათა კლასი. მუშები ქმნიან ერთიან ფრონტს ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ.

ამხ. ლლონტი, რომელიც გამოვიდა თანამომხსენებლათ გამოსთქვა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების აზრი ევროპის კაპიტალთან ურთიერთობის შესახებ.

ამხ. რუბენმა აღნიშნა განსხვავება ურთიერთობაში პროლეტარიატსა და კაპიტალს შორის უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში. თუ პროლეტარიატი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოდიოდა კაპიტალის წინააღმდეგ, ახლა ამ უკანასკნელმა მოიკრიბა ძალა და შეტევაზე გადავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ. შემდეგ ამხ. რუბენი შეეხო ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგობას და სთქვა, რომ თუ საფრანგეთის კაპიტალს განზრახვა აქვს გაძლიერდეს გერმანიის ხარჯზე, ინგლისი ამას არ დაუშვებსო.

ამხ. ჭანტურიამ უპარტიო მუშების სახელით განაცხადა, რომ დროა საზღვარი დაედვას გათავხედებული ბურჟუაზიის მოთხოვნილებებსო.

ამხ. ხარიკაშვილმა რკინის-გზელ მუშების სახელით განაცხადა, რომ რკინის გზის პროლეტარიატი მზად არის სათანადო პასუხი გასცეს კაპიტალის უტიფარ მოთხოვნილებებსო.

რეზოლიუცია.

პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, თბილისის საბჭოს პლენუმი საქარხნო—საფაბრიკო კომიტეტებთან ერთად მოუწოდებს თბილისის პროლეტარიატს ყურადღებით ადევნოს თვალყური ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზიის თავხედურ გამოსვლებს. საბჭოთა მთავრობა წავიდა მაქსიმალურ დათმობებზე. მეტი დათმობა შეუძლებელია. და თუ ინგლისის ბურჟუაზია მოისურვებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი შრომის დარღვევას, თბილისის პროლეტარიატი და მასთან ერთად საქართველოს მთელი მშრომელი მასები დადგებიან, როგორც ერთი მუშებისა და გლეხების ხელისუფლების დასაცავად.

თბილისის პროლეტარიატი სადარაჯოზე იქნება.

ძირს გათავხედებული იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშებისა და გლეხების მშვიდობიან შრომას!

ესერების დაშლა.

სარატოვი. 8 ივნისი. **გამოქვეყნდა ყოფილ ესერების მოწოდება, რომლითაც ძველ პარტიულ წევრებს ურჩევენ გაერთიანდნენ და მხარი მისცენ ესერების მოსკოვის ყრილობის დადგენილებას.**

წარმოება იზრდება.

ჩერემხოვო. 8 ივნისი. **ჩერემხოვოს მაღაროებში 6 მაისამდე ამოღებულია 102,700,000 ფუთი ქვანახშირი ნავარაუდევის 115 პროც.**

სესხი მუშებს.

იჟევსკი. 8 ივნისი. იჟევსკის მუშათა მომხმარებელი ამხანაგობა სცდილობს სესხი მოაწყოს მუშებისათვის. ამ საქმისათვის ჯერ-ჯერობით გაღებულია 7000 ჩერვონეცი.

საჰაერო ფლოტისათვის.

ორიოლი. 8 ივნისი. მეტყევეთა კავშირმა დაადგინა თითო წევრისაგან აიღოს ათი შაური ოქროთ ჰაეროპლანის შესაძენად.

სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

კრასნოდარი. 8 ივნისი. ყუბან-შავი ზღვის მხარის აღმასრულებელი კომიტეტი სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჰგზავნის მოსკოვში 2300 გლეხს, საუკეთესო აგრონომების თანხლებით.

ჩიტა. 8 ივნისი. მონგოლეთში მყოფმა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იკისრა მონგოლეთიდან ექსპონატების გამოგზავნა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მინსკი. 8 ივნისი. ბელორუსიიდან გამოფენაზე მიემგზავრება 7,000 ექსკურსანტი.

კომინტერნის პლენუმი

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

მოსკოვი. 11 ივნისი. სამშაბათს, 12 ივნისს, იწყება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი აღმასკომის პრეზიდიუმის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა წინადადება მიეცეს პლენუმს მოიწვიოს კომინტერნის მეოთხე კონგრესი მომავალი წლის მარტის დასაწყისში. ირჩევა აგრეთვე საკითხი გლეხების საერთაშორისო კონგრესის მოწვევის შესახებ. კომინტერნის პლენუმზე ჩამოვიდნენ კომინტერნის ყველა ფართო სექციების დელეგატები.

ჩვენ და ისინი

„პრავდას“ წერილი რუსეთ-დანიის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

მოსკოვი. 9 ივნისი. „პრავდა“ წერილში „რუსეთ-დანიის სავაჭრო ხელშეკრულების რატაფიკაციისთვის“ სწერს:

„დანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას—იმ ქვეყანასთან, სადაც მარია თეოდორეს ასულის ირგვლივ ათასნაირ ინტრიგებს აქვს ადგილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იმ ქვეყანასთან, რომელიც საკმაოდ დამოკიდებულია საერთაშორისო კაპიტალისაგან—საკმაოდ დიდი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. რომ პატარა დანიის ბურჟუაზიას მართლა სწამდეს კერზონის ძლიერება, მაშინ ის არასოდეს არ მოაწერდა ხელს ხელშეკრულებას იმ მომენტში, როდესაც კერზონმა მოხერხებულად დაინახა ულტიმატუმისა და მუქარის საშუალებით მოქმედება.

მოგონებანი ეგნატე ნინოშვილზე

(ჩემი დღიურიდან)

(დასასრული. იხ. გაზ. „კომ.“-ი № 131)

III.

ეგნატე-ორგანიზატორ-რევოლიუციონერი

1892 წლის დეკემბერი.

„...ჩვენი წრე დღითი დღე იზრდება. უფრო სემინარიელები არიან. სემინარიელებს სამასწავლებლო ინსტიტუტელებთან ერთათ საერთო განსაკუთრებული ბიბლიოთეკა აქვთ დაარსებული. ეს ბიბლიოთეკა რჩეულ ინსტიტუტელებს აბარია. აღმოჩნდა, რომ ზოგი ინსტიტუტელი სემინარიელს ყველაფერში სჯობნის. რამდენიმე კაცი მათ შორისაც მოიძებნება, რომლების ჩვენს წრეში შემოყვანა შეიძლება. ჩვენი ამხანაგები მათ კიდეც გაეცნენ. ეგნატე ახლა მეტად გატაცებულია ამ საქმით. ის მალე დაუახლოვდა ყველას. ხშირათ ვიკრიბებით ეგნატესთან მიხას ბინა—სარდაფში.

ეგნატე, როგორც ვატყობ, ძალზე ჭლექმორეულია. მარა იდეიით მეტათ გატაცებულია და ენერგიით სავსეა; იმ მიზნით და აზრით არის შეპყრობილი, რომ უნდა თბილისის საუკეთესო ახალგაზრდობა ეროვნების მიუხედავათ ერთგვარ რევოლიუციური მიმართულებით გამსჭვალოს, საერთო რევოლიუციურ გზაზე დააყენოს და საერთო მიზნის მისაღწევათ საერთო საქმის უღელში შეაბას... მისი წინადადებით და ინიციატივით გადავწყვიტეთ სისტემატიური მეცადინეობა დავიწყოთ. სპირიდონ ლეკვიაშვილს ზაქარიასგან წამოღებული წიგნი „**Исторические письма—П Лаврова** აღმოაჩნდა და ჩვენც იმის შესწავლას შეუდექით. ხელმძღვანელათ ეგნატემ სომეხი სტეფანე დანდუროვი მოიწვია, როგორც გამოცდილი „ნაროდოვოლეცი“, მაგრამ მან იმედი არ გაგვიმართლა; პირველ კრების შემდეგ, არ გამოჩენილა. ჩვენ ისევ მიხას ხელმძღვანელობით შეუდექით საქმეს.

სულ თვენახევარია, რაც ეგნატეს და მიხას გავეცანი და ისე შევეჩვიე მათთან ყოფნა-სჯა-კამათს, რომ ის დღე დღეთ არ მიმაჩნია და სისოცხლე სიცოცხლეთ, როცა მათთან არა ვარ! მე ჯერ ისევ ტოლსტოის ფილოსოფიითა ვარ გაბრუებული და ამ ფილოსოფიის დებულებებს ვიცავ, თუმცა მეც დიდი ეჭვით უყურებ მას. ასე რომ ხშირათ, თვითონ მეც კრიტიკულათ ვეხები მას, თუმცა ჯერ სუსტი ჩემი კრიტიკა მას ვერ ერევა. მე ვფიქრობ, რომ უფრო მაღალი, მომქმედი და ჭეშმარიტი აზროვნება უნდა იყოს, მაგრამ რა პრინციპ-დებულებებისგან, რა პროგრამა-თეორიებისგან შედგება იგი, მე ჯერ არ ვიცი. როგორც ვატყობ ეგნატე და მიხა სწორეთ ის ადამიანები არიან, რომლებმაც ეს ჩემ მიერ ალღო აღებული ახალი სწავლა-მოძღვრება იციან და რომლებისგანაც მე მას შევისწავლი.

ამ მოძღვრების უკეთესობა-ჭეშმარიტებაში რომ დავრწმუნდე, ამისთვის განზრახ ვიცავ ტოლსტოის ფილოსოფიის დებულებებს, რომ ბრძოლა-კრიტიკაში ჩემი მსოფლმხედველობა და აზროვნება შემუშავდეს.

ამ მიზნით ხშირათ ვმართავთ სჯა-კამათს ეგნატესთან და მიხასთან. მე და ისიდორე (კვიცარიძე) ტოლსტოის მოძღვრებას ვიცავთ, ხოლო ეგნატე და მიხა გვებრძვიან, გვირღვევენ ჩვენს შეხედულებას და თავისას ამტკიცებენ. ეგნატე მაინც მეტათ სასტიკ კრიტიკას უკეთებს ტოლსტოის ფილოსოფიას. იგი ამ საკითხში სრულიათ ეთანხმება მიხაილოვსკის.

ხშირათ გვაქვს სჯა-კამათი შემდეგ კითხვებზე: მოყვსის სიყვარულზე, იდეალზე, ძალმომრეობით ბოროტის წინააღმდეგ შეუბრძოლებლობაზე, ქალწულებაზე და სხვა. ისინი თანდათან მირღვევდნენ ტოლსტოის შეხედულებას და სხვაგვარ თვალსაზრისს მაჩვევენ, მათეისებრ. მე თანდათან ვმარცხდები და ეს დამარცხება მეტათ მახარებს ხოლმე.

როგორც დავინახე და გავიგე, ეგნატეს და მიხას მიერ აღიარებული მოძღვრების საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: **საზოგადოებრივი პირობების შეცვლა და მით მთელი საზოგადოების და მასთან ერთათ კერძო ადამიანის წარმატება-ბედნიერება.**

სოფელში ჩემს წასვლამდი (ნოემბერში მე სოფელში მომიხდა ჩასვლა და ქ. ქუთაისში „სასალდათო“ კენჭის ამოღება). ჩვენი წრე სულ შვიდი კაცისგან შედგებოდა (ესენი არიან: ეგნატე, მიხა, ისიდორე, სტეფანე დანდუროვი, ნიკო კურდღელაშვილი, ლადო დარჩიაშვილი და მე), ხოლო ახლა (დეკემბერში) თუთხმეტამდის აღწევს. (მოგვემატნენ: ანდრია ლეჟავა, დიმ. უზნაძე, იროდიონ ხოსიტაშვილი, სპირდონა ლეკვიაშვილი, ვასო ცაბაძე და ორი თუ სამი სხვა).

პირველ თვეში მე ასე ვატარებდი დროს: დილიდან სადილობამდის წიგნს ვკითხულობდი, ხშირათ ეგნატესთან ერთათ, შემდეგ ეგნატესთან ერთათ ამოჩემებულ იაფ ფასიან სასადილოში ვისადილებდი, ნასადილევს, ხშირათ სადილობამდისაც „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის წიგნების კიოსკში“ „(ალექსანდრეს ბაღის“ კუთხეში) შეუხვევდით და იქ გაზეთებს გადავათვალიერებდით ან საზოგადოებრივ ხასიათის ამბებს გავიგებდით; მერე კი ისევ სახლში გავსწევდით გოლოვინის პროსპექტით (ახლა რუსთაველის), თუმცა ჩვენი ბინა გაღმა იყო კუკიის ხიდის ახლო. ამას წინათაც მე და ეგნატემ ნასადილევს ერთმეორეს ჩვეულებრივი ხუმრობით ვუთხარით: „давай оскорбим прспект“. და სასახლის წინ, რომ გავიარეთ ერთი გვერდზე გადავხედე სასახლეს და ეგნატეს ოცნების კილოზე ვუთხარი:

— როდის იქნება, ეგნატე, რომ მოვესწროთ ამ სასახლის თავზე სოციალიზმის დროშა ფრიალებდეს—მეთქი.

ჰაი, ჰაი, რომ მალე მოვესწრებითო, მიპასუხა მხიარულათ და მკვირცხლათ ეგნატემ ასეთი ოცნებით მივდიოდით ჩვენ ჩვენ ბინაზე, სადაც საღამომდი ისევ წიგნს ვკითხულობდით.

საღამოს კი ისევ ისიდორესაკენ გავსწევ ხოლმე, რადგან ვიცი, რომ იქ უთუოთ ეგნატე და მიხა დამხვდებიან ყოველთვის გაცხარებულნი „სჯა-კამათით და გატაცებულნი. ისინი (ეგნატე და მიხა) უმთავრეს აზრებში, მიმართულებაში, მისწრაფება-მიდრეკილებაში სრულიად შეთანხმებულნი არიან. მაგალითად, თუ რომელიმე მათგანი რომელიმე თეზისის დამტკიცებას მოინდომებს და უმთავრესს აზრს წარმოთქვამს, მეორე მაშინვე მზათ არის ეს თეზისი არგუმენტებით დაასაბუთოს და ილიუსტრაციები გაუკეთოს. მსმენელი ამნაირათ მათი შეერთებული ძალით მათი აზრის სინამდვილეში და საფუძვლიანობაში რწმუნდება.

მაგრამ მათ შორის ხშირათ „ჩხუბიც“ ხდება ხოლმე. რომელიმე წვრილმან კითხვაზე შექმნებათ კამათი. გამოდის, რომ ამ წვრილმან კითხვებში მათი შეხედულება სხვადასხვაობს. თვითეული მათგანი დარწმუნებულია თავისი აზრის ჭეშმარიტებაში; თვითეულს მათგანს უნდა უსათუოდ დააჯეროს მეორე და ამნაირათ დაიმორჩილოს მისი აზროვნება; მაგრამ ეს არ ხერხდება, რადგან ორივე ფანატიკოსია, გატაცებული იდეიით, ერთგვარი ძალით და ენერგიით აღჭურვილი, ამასთანავე ორივე საშინლად ნერვებ აშლილია. ამიტომ ასეთ შეტაკებებს, სამწუხაროთ, ხშირად არა სასიამოვნო შედეგი მოსდევს ხოლმე.

ეგნატე საშინლად ბრაზობს და ჰყვირის სჯა-კამათში, როცა მას მიხა არ ეთანხმება. ხოლო მიხა კი უფრო ითმენს, რადგან იცის, რომ ეგნატე საშინელი სენით (ჭლექით) არის შეპყრობილი.

მაგრამ საბედნიეროთ რამდენიმე ხნის შემდეგ სწყვეტენ კამათს, წყნარდებიან და ისევ ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო ძალით, შეთანხმებულნი ჩვენ, უმცროსს ამხანაგებს გვეკამათებიან და გვასწავლიან...

ეგნატესთან ახლა უფრო დაახლოებული ვარ. ახლა დილიდანვე თითქმის მთელი დღე ერთად ვატარებთ დროს მიხას ბინა-სარდაფში. იგი სწერს, ხოლო მე წიგნს ვკითხულობ. ხან კიდევ, როცა დავიღლებით, საუბარს ვმართავთ ხოლმე. ეგნატე ხშირად მომითხრობს ამბებს თავის ცხოვრებიდან, როცა მე ამაზე ვეკითხები, თუმცა თავისთავზე ლაპარაკი ძალიან ეძნელება და ეჩოთირება. გუშინ წინ სადილობისას მითხრა: „კარგი, გეტყვი, თუ კი ეს შენთვის საინტერესო“-ა და დარცხვენით მიამბო, თუ როგორ გაატარა მან დრო გურიელებისას, რათ მოშორდა მათ, რამ აიძულა ჯერ მასწავლებლათ და მერე „მწერლათ“ წასულიყო და შემდეგ ევროპაში როგორ მოახერხა წასვლა და როგორ მალე მოუხდა უკანვე დაბრუნება. ყველა ამებს იგი მოკლეთ მეუბნება, თითქო, როგორც შევატყვე, ზოგ რამეს მალავს, რადგან მისი გამჟღავნება ერცხვინება და ეჩოთირება.

ჩვენ ერთი რაჭველი კაცის (ალბათ ყოფილი მზარეულია) სასადილო გვაქვს ამოჩემებული (ტალახის ქუჩაზე სემინარიის პირდაპირ), სადაც ხშირათ დავდივართ ხოლმე.

სასადილოს დარბაზი ხშირათ სემინარიელებით სავსე გვხვდება და ეგნატეც უფრო ამიტომ დადის იმ სიშორიდან ამ სასადილოში, რომ სემინარიელებს გაეცნოს და მათი წრიდან „კარგი ბიჭები“ აირჩიოს. მარა, სამწუხაროთ, დღემდი მას აქ „ისეთი“ არავინ შეხვედრია. ვინც კი დღემდე გაცნობილი და დაახლოვებული ჰყავს მას, ესენი ყველა ჩვენი (ჩემი და ისიდორეს) მოყვანილია.

ეგნატესთან ის ჩემი ნაამხანაგარი სემინარიელებიც მოდიან, რომლებიც მომავალ წელს კურსს დაასრულებენ და ამიტომ არ სურთ მათ ამ საქმეში სხვებმა „პროტესტებით“ ხელი შეუშალონ. მათ თავი კი მოწინავეებათ და განვითარებულ „ბიჭებათ“ მოაქვთ და უნდათ ამაში ეგნატეც დაარწმუნონ.

მათ ჩვენთან ერთათ ეგნატეც და მიხაც ებრძვის. (სემინარიელების ამ ჯგუფში შედიან: ალექსანდრე მალალაშვილი, ქრისტეფორე ციცქიშვილი, კონდრატე ნინიკაშვილი, გიორგი ნათაძე; ფილიპე გოგიჩაიშვილი და რამდენიმე კიდევ სხვა). ჩვენ „პროტესტის“ და „აჯანყების“ მომხრე ვართ, ხოლო ისინი ამას უარყოფენ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მორჩილებით და ფარული მშვიდობიანი მეცადინეობით მეტს გააკეთებენ.

ამის წინააღმდეგ ბევრი ელაპარაკეს მათ ეგნატემ და მიხამ. ესენი უმტკიცებენ მათ, რომ „პროტესტი“ საუკეთესო საშუალებაა ძალმომრეობის წინააღმდეგ. „პროტესტის“ გზას ადგას საზოგადოებრივი წინმსვლელობა და „უპროტესტოთ“ ჩინეთურ დამყაყებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა კაცობრიობა; რომ მთელი ისტორია ამას ამტკიცებს და სხვა და სხვა... ბოლოს ეგნატეს რომ არა გაუვიდა-რა მათთან, ასე უთხრა: „თქვენ თუ უკმაყოფილებას გრძნობთ, დამცირებას, შეურაცხყოფას, შევიწროებას იტანთ და „პროტესტი“ მაინც არ გინდათ გამოაცხადოთ, მაშინ თქვენ „,გლახაკები“ და ლაჩრები ყოფილხართ და იგია! თვარა, ვინც ვაჟკაცია და მაღალი გრძნობის პატრონია, იგი თავის დღეში არ აიტანს მასეთ დაჩაგვრას და უსათუოთ პროტესტს გამოაცხადებს“-ო... ამ დასკვნით გათავდა ამ საკითხზე სჯა-კამათი.

სჯა-კამათის შემდეგ, ნაშუაღამევს ხშირათ დავნაყრდებით ხოლმე პურით, ყველით და ღვინით. ამ დროს უფრო ვხუმრობთ ხოლმე: ირონია და სარკაზმი „ფინთიხივით“ იტყორცნება. ეგნატე ხშირათ სახუმარო ანეგდოტებს გვეუბნება ხოლმე უფრო გურიელების ცხოვრებიდან.

ეგნატეს ამას გარდა თავისუფალ დროს რუს რევოლიუციონერთა ცხოვრების მოგონება და გადმოცემა უყვარს. იგი ენტუზიაზმით, დიდი პათოსით მოგვიყვება ხოლმე იმათ ბიოგრაფიას, რამდენათაც იცის. რამდენიმე სცენა მათი ცხოვრებიდან ხელოვნურათაც გადმოგვცა, რითაც იგი რევოლიუციონერებს გვაყვარებს..

ზამთარი უკვე დადგა და „ჩვენი ფინანსების“ მდგომარეობა კი ნებას არ გვაძლევს საზამთრო ტანისამოსი შევიძინოთ ან შეშა ვიყიდოთ საზამთროთ. დავაიმედეთ ჩვენი თავი იმით და [illegible] იმ მოსაზრებას, რომ თვითეულ ჩვენგანს თითო ძველი საზაფხულო პალტო აქვს, რომ მიხას „ბნელ ოთახ-სარდაფის კედლები საიმედოთ სქელია, მიწაშია ჩატანებული და ამასთანავე „ხაზეიკაც“ კვირაში ერთხელ ოთახის გათბობასაც შეგვპირდა. მეტი რაღა გვინდა? მარა ჩვენდა საუბედუროთ ამ წელს ისეთი ყინვები დგება, თუ გარეშე ძალა არ დავიხმარეთ, მარტო ჩვენი ქონით მას ვერ გაუმკლავდებით.

საშობოთ (15 20 დეკემბერს) ეგნატეს პროვინციელ ამხანაგებისგან წერილები მოუვიდა. ერთი ამ წერილთაგანი, სახელდობრ კარლო ჩხეიძისაგან მიწერილი, მეც წამიკითხა. ეტყობა, ეგნატე დიდ საიდუმლო კრებას აწყობს დ. ყვირილაში, სადაც ჩვენც (ისიდორე, ლადო, ნიკო და მე) მიგვიწვია. ამასთან რამდენიმე ჰექტოგრაფიული არა ლეგალური ბროშურა გადმოგვცა მან და წაგვაკითხა. ამით იგი მომავალი კრებისთვის გვამზადებს ალბათ.

მისი წინადადებით შობის წინა დღით მზათ უნდა ვიქნეთ წასასვლელათ. მე და ისიდორე ვახერხებთ ამას, რადგან გზაც იქეთ გვაქვს ჩვენს სოფლებში (ქუთაისის მაზრაში) წასასვლელათ; ხოლო ლადო და ნიკო უფულობისა გამო ვერ მოდიან: მათ, როგორც კახელებს, მხოლოთ კახეთისაკენ წასვლის საშუალება აქვთ. ამიტომ გულდაწყვეტილნი რჩებიან.

ჩვენ კი (მიხა, ეგნატე, მე და ისიდორე) მივემგზავრებით იმედებით აღფრთოვანებულნი და რაღაც დიადი მომენტის მოლოდინით გატაცებულნი! ამით იწყება ჩვენი ცხოვრების სრულიათ ახალი ხანა“.

რაჟდენ კალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიის ფრთხილი პოლიტიკოსები ისეთნაირათ აფასებენ მდგომარეობას, რომ ეს შეფასება არ მოასწავებს მრისხანე ლორდის ტრიუმფიალურ მსვლელობას. თუ ინგლისი არ ივაჭრებს, ივაჭრებს დანია. მაგრამ საფრანგეთიც არ არის წინააღმდეგი ამავე საქმეს მოკიდოს ხელი, მაშინ სიტის ბატონებისათვის სრულიად მოულოდნელად შეიძლება მიღებულ იქნეს ბრწყინვალე განცალკევების პოზიცია.

ხელშეკრულების დასასრული ერთიელ კიდევ გვაჩვენებს ეკონომიური გაერთიანების აუცილებლობის ძალას. ცენტრალურ ევროპის მსხვილ სახელმწიფოების სავაჭრო პოლიტიკასთან შედარებით, ყოფილ ნეიტრალურ სახელმწიფოებისათვის სხვა გამოსავალი არ არის, გარდა რუსეთის ბაზართან კავშირისა ნედლი მასალის გასასაღებლად. მაგრამ დიდმა სახელმწიფოებმაც ადრე თუ გვიან იმავე გზით უნდა იარონ. რაც უფრო ხშირად გადააგდებენ მათ ამ გზიდან ბატონი კერზონები, საბოლოო ანგარიშში უფრო ხშირად ისინი დარჩებიან წაგებული.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მეზღვაურთა გაფიცვა ძლიერდება.

ბერლინი. 10 ივნისი. წითელი პროფინტერნის წევრის გერმანიის მეზღვაურთა კავშირის მიერ მოწყობილი გაფიცვა მოედო ბრემენის, ემდენის და ჰამბურგის მეზღვაურებს.

სასოფლო მეურნეობის მუშების გაფიცვა.

ბერლინი. 10 ივნისი. გერმანიის სოფლის მეურნეობის მუშების კავშირმა ხაზუალო და ქვემო სილეზიაში გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. მუშები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

უნგრეთის მუშების გამარჯვება.

ვენა. 9 ივნისი. უნგრეთში პატარ-პატარა გაფიცვები მუშების გამარჯვებით დასრულდა. მუშებს ხელფასი მოუმატეს. ბუდაპეშტის პურის მცხობლებმა მუშაობა განაახლეს. მათ მოუმატეს ხელფასის 35 პროც. მემანქანეებს კი მოემატა ხელფასის 200 პროც.

ამიერ კავკასიის ცხოვრებიდან

საქართველო

აფხაზეთი.

საკურორტო საქმე.

სოხუმი 10 ივნისი. მოსკოვიდან ჩამოვიდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე, რუსეთის კომპარტიის ცეკის რწმუნებული და სხვ.. კომისია გაეცნობა ადგილობრივ საკურორტო საქმის მდგომარეობას. მომავალში გაიმართება მთელი რიგი თათბირებისა დაინტერესებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

ბათომი.

ნავთსადგურში.

ბათომი. 10 ივნისი. ოდესიდან მოვიდა გემი „პასტელი" 8180 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 237 მგზავრით, რომელიც ისევ გაბრუნდა. 92 მგზავრით და 245 ფუთი ტვირთით. ამერიკის გემი „სორუს"-ი წავიდა ფოთში. ინგლისის გემი „ტრისელტრელ"-ი —სტამბოლში.

აზერბეიჯანი

ნავთის საქმე.

ბაქო. 11 ივნისი. 6 ივნისს ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია 581 ათასი ფუთი ნავთი. დასამუშავებლად იყო 367 ათასი ფუთი, დაიწმინდა 135 ათასი ფუთი. ბურღვაზე მუშაობდა 169 საბურღი დაზგა. ჩაიბურღა 176 საჟენი.

პოლიტექნიკუმის შეფობა.

ბაქო. 11 ივნისი. მას მერე, რაც აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ და სამთომადნო მუშათა კავშირმა იკისრა შეფობა ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტისა, მისი საქმე გამოსწორდა. ინსტიტუტს საშუალება მიეცა მოეწყო ლაბორატორიები და სამეცნიერო კაბინეტები. 15 ივნისს ინსტიტუტში დასრულდება გადასასვლელი გამოცდა მოსწავლეებისა, რის შემდეგაც სწავლა შესწყდება საზაფხულო კანიკულებისათვის.

დამშეულთა დახმარება.

ბაქო. 11 ივნისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა შიმშილობით გამოწვეულ შედეგთა ცენტრალურ კომიტეტს, რათა ლენქორანის მაზრის დამშეულ ხალხს დაურიგოს 30 ათასი არშინი ნარმა.

კომუნისტური ახალგაზრდობის დღესასწაული.

ბაქო. 11 ივნისი. ამ დღეებში ალდაშის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ იდღესასწაულა თავისი არსებობის სამი წლის თავი. პარტიის კომიტეტმა ახალგაზრდა კომუნისტთა კომიტეტს დროშა მიუძღვნა.

სომხეთი

უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

ერევანი. 8 ივნისი. უპარტიო გლეხთა კონფერენციები მოხდა ალავერდის, დოეხის, ჯელალოღლისა და ვორონცოვის რაიონებში. განსახილველი საგნები იყო: მიწის საკითხი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და კოოპერაცია.

გლეხების შრომით.

ჯელალოღლი. 8 ივნისი. ლენქორანის მაზრაში, სოფ. ცნოხში გლეხებმა საკუთარის ძალით გააკეთეს 12 საჟენიანი ხიდი. განზრახულია შარაგზის გაყვანა სანაინ-ახტალას შუა.

სამეცნიერო ექსპედიცია.

ერევანი. 11 ივნისი. ერევანში დაბრუნდა სამეცნიერო ექსპედიცია შელკოვნიკიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც მუშაობა გასწია არაქსის რაიონში. ექსპედიციამ ჩამოიტანა ზოოლოგიური ბოტანიკური და სხვ. ნაშთების მდიდარი კოლექციები. ამ დღეებში ექსპედიცია მიემგზავრება სევანის ტბის მხარეზე.

სეტყვა.

ერევანი. 11 ივნისი. სოფელ ფიარიგოხში, მოლა-ბაიაზეთში, მეჩირლუში და სარდარობადში (ერევნის მაზრა) მოვიდა სეტყვა, რამაც ძლიერ დააზარალა ნათესები. განადგურებულია 350 დესიატინა პურეულის ნათესები და 23 დეს. ბამბა.

საგანმანათლებლო მუშაობა.

ალექსანდროპოლი. 11 ივნისი. კომიაჩეიკების მუშაობა ქალაქში და მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. აშუქებენ კომპარტიის პროგრამას და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას. საგიტაციო განყოფილებამ შეიმუშავა კომიაჩეიკების მეცადინეობის პროგრამა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ტარდება ჯგუფობრივად. პირველ უბანში არის 18 სამკითხველო და 12 ჯგუფი; მეორეში—18 სამკითხველო და 16 ჯგუფი; მესამეში—5 ჯგუფი; მეოთხეში—14 სამკითხველო; მეხუთეში—9 სამკითხველო და 5 ჯგუფი; მეექვსეში—9 სამკითხველო და 9 ჯგუფი; მეშვიდეში—10 სამკითხველო და 15 ჯგუფი. სულ მეცადინეობს 1,200 გლეხი და მუშა. სწარმოებს ორგანიზაციული მუშაობა ალექსანდროპოლში მუშათა ფაკულტეტის მოსაწყობათ.

პარტიული ცხოვრება

კოლოფების დამამზადებელ 1-ლ სახელმწიფო ქარხნის კომუჯრედში.

8 მაისს შესდგა კომუჯრედის სხდომა უპარტიო მუშების მონაწილეობებით. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო: 1) ჩვენი ქარხნის დირექტორის ანგარიში მის მიერ წარმოებულ მუშაობის შესახებ ამ თანამდებობაზე დადგომის მომენტიდან. 2) პარტიაში მიღების შესახებ. 3) მიმდინარე საქმეები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ჩვენი ქარხნის დირექტორი ამხ. ფრიდონოვი. ამხ. ფრიდონოვმა ნათლად დაასურათა თავისი მუშაობა დირექტორის თანამდებობის მიღების დღიდან, პარალელურად მასთან შეეხო ჩვენი ფაბრიკის და ძველი ადმინისტრაციის მუშაობას მისი დირექტორად დანიშვნის დრომდე. ამხანაგის სიტყვებიდან აშკარა იყო, რომ იმ დროს ჩვენი ქარხნის საერთო მუშაობაში მრავალ არა ნორმალურ მოვლენებს ჰქონია ადგილი. შემდეგ გადავიდა რა მისი დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ დროის მუშაობის ანალიზზე, ამხანაგმა აღნიშნა, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა დადებითად. ამხანაგმა ფართოდ განავითარა თავისი ანგარიში და გაკეთებულ მუშაობის მთლიანი სურათი მოგვცა და მასთან ხაზი გაუსვა იმ საწარმოო გეგმას, რომელიც მის მიერ არის შემუშავებული. ამხანაგმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად მუშების თითქმის ნახევარი შვებულებაშია, ან და ავადმყოფია და სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქარხანაზე ნორმა მაინც მუშავდება.

ამხანაგმა ციფრებით დაგვანახვა, რომ ფაბრიკა ნედლი მასალით უზრუნველყოფილია 3 თვით, მაგრამ თამბაქოს ტრესტის მიერ მიღებულია ზომები ნედლი მასალის შესასყიდავად მოსკოვისა და სტამბოლის ბაზრებზე, და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნედლი მასალით ჩვენ საკმაოდ უზრუნველყოფილნი ვიქნებით.

ამხ. ფრიდონოვი თავის ანგარიშის ბოლოში შეეხო ადმინისტრაციის საერთო მუშაობის არა ნორმალურ მხარეებს, როგორც მაგალითად: მარტო ავანსი მუშებზე ირიცხებოდა 500 მილიონამდე. მთელი ბუხჰალტერია ავანსის ანგარიშებით იყო დატვირთული, მაგრამ მისი თანამდებობის მიღებიდან, მან შესძლო ავანსების მოსპობა და 1-ლ ივნისისათვის მუშებზე, იშვიათი გამონაკლისით, ავანსები აღარ ითვლებოდა.

ფრიდონოვის შემდეგ ილაპარაკა ამხ. მურადოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოხსენების შესახებ არაფერი კითხვები არ არის, რადგან დირექტორმა სავსებით გააშუქა საკითხი, ამას გარდა დირექტორის მთელი მუშაობა ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს და და არა კაბინეტში. ამხ. მურადოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ძველი ადმინისტრაციის დროს მუშებს ამტყუნებდენ და ამტკიცებდენ, რომ ისინი ზარმაცები არიან და არ მუშაობენო, ეხლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ მუშები კი არ ყოფილან დამნაშავე, არამედ ადმინისტრაცია ვერ ყოფილა თავის ადგილზე და არ სცოდნია საქმის მსვლელობაო. ყველა ორატორების სიტყვებში ხაზგასმული იყო განსხვავება ძველსა და ახალ ადმინისტრაციის შორის ამხ. ფრიდონოვის სახით და ემჩნეოდა, რომ მუშები მხარს უჭერდენ ქარხნის დირექტორს.

კომუჯრედმა მთელად კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედთან და უპარტიოებთან ერთად მოისმინა რა ამხ. ფრიდონოვის მოხსენება გაკეთებულ მუშაობის შესახებ, დამაკმაყოფილებლად და სავსებით ნაყოფიერად იცნო მისი მუშაობა. ყველამ სურვილი გამოსთქვა, რომ ამხ. ფრიდონოვმა შემდეგ თავის მუშაობაში უშუალოდ იხელმძღვანელოს იმ საწარმოო ხაზით, რომელსაც ამ ჟამად ატარებს. უჯრედიც აგრეთვე სურვილს გამოსთქვამს, რომ ყველა შეგნებულმა მუშებმა თვალყური ადევნონ წარმოებას, რათა ის არ დაეცეს. უჯრედი წინადადებას აძლევს დირექტორს შემდეგშიაც ისევე მოერიდოს ავანსების მიცემას, როგორც ეს აქამდე იყო.

შემდეგ მოსმენილ იქნა განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

მიმდინარე საქმეების გარჩევის დროს წაკითხულ იქნა თბილისის კომიტეტის ცირკულიარი № 23¹; ცირკულიარის გარჩევის შემდეგ დაადგინეს ამ ცირკულიარის შესახებ მიღებულ იქნას უჯრედის ბიუროს დადგენილება № 22.

საწევრო გადასახადის საკითხის შესახებ წინადადება მიეცა ამხანაგებს პარტიული დისციპლინის წესით დააჩქარონ საწევრო გადასახადის შემოტანა. შემდეგ მოსმენილ იქნა ცნობა კომუჯრედის სხდომის საათის შეცვლის შესახებ; იმის გამო, რომ ზაფხულის პერიოდი დადგა უჯრედის სხდომის საათი შვიდის მაგივრად გადატანილ იქნეს საღამოს 6 საათზე.

დასასრულ წაკითხულ იქნა ქართულ დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების პარტიულ კომისიის დადგენილება ა. წ. 31 მაისის თარიღით ამხ. გიორგი არხიმანდრიტოვის კომპარტიიდან გამორიცხვის შესახებ, როგორიც პირადი სარგებლობით დაინტერესებულის, თანახმად ცენტრალურ გამსინჯავ კომისიის ოქმისა 1922 წ. 11 დეკემ. № 33.

აღნიშნული დადგენილება უჯრედმა მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ.

მუშკორი როტინოვი.

ქ. სამტრედია.

ეწერის თემში ოჯოფის უბანში არის ახალგაზრდა—მუშურ-გლეხური კომუნისტური კავშირის ორგანიზაცია, ეს ორგანიზაცია ყოველთვის აქტივობას და ინიციატივას იჩენს და 1-ლი ინიციატორ ავანგარდია, ყოველგვარ საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობაში კომკავშირი. საქართველოს ახლად გასაბჭოებისთანავე, გადაეშვა უპარტიო მუშა ახალგაზრდებში სამუშაოდ და უკვე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ყველგან და კერძოდ სამტრედიის რაიონში, სადაც ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებისთვის პირველ აქტიობას იჩენდა უპარტიო მუშა ახალგაზრდები და მათი ხელმძღვანელნი ახალგ. კომკავშირი. ეწერის თემში არსებული ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები სათანადო მომზადებულნი არიან და გაჩაღებულია კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. გახსნილია სამკითხველოები. მათ შორის უმთავრესი არის ოჯოფის უბნის სამკითხველო, რომელიც კარგ შენობაში არის მოთავსებული, ლიტერატურაც საკმაოდ მოიპოვება, სამკითხველო სისტემატიურად მუშაობს, სადაც მუდამ მრავალი ახალგაზრდობაა, რომელიც მხურვალედ ეწაფება სწავლა-განვითარების საქმეს.

ეწერის კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაარსდა დრამატიული დასი ახალ კომკავშირიო სისტემატიურად იწვევს უპარტიო ახალგაზრდების ღია კრებებს, აწყობს თვეში ორჯერ ლიტერატურულ გასამართლებებს, რომელშიდაც ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებს.

ვ—დია.

ბაქოს პარტიული კონფერენცია

იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბაქო. 11 ივნისი. 10 ივნისს შესდგა ბაქოს მეთორმეტე პარტიული კონფერენციის ღია სხდომა პარტიის წევრების და უპარტიო მუშაკების მონაწილეობით. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ინგლისის მთავრობის მეორე ნოტის შესახებ და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის იმპერიალისტური მოთხოვნილებები მიუღებელია, კონფერენცია მოითხოვს ამ მოთხოვნილებების კატეგორიულად უარყოფას, განსაკუთრებით კი იმ ნაწილის, რომელშიც კერზონი, ურკარტი და ძმანი მათნი მოითხოვენ რუსეთის მიერ მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. კონფერენცია აცხადებს, რომ ის სავსებით იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის და რ. კ. პ. ც. კ. პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიზნათ ისახავს მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვას. კონფერენცია იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისის პროლეტარიატი, რომელსაც საბჭოთა მთავრობამ თავის მშვიდობის მოყვარეობის მრავალი მაგალითი დაანახვა, ლაგამს ამოსდებს კერზონს და ურკარტს და არ მისცემენ მათ საშუალებას წარუდგინონ მუშურ გლეხურ მთავრობას ყაჩაღური მოთხოვნილებები და გასწყვიტონ ეკონომიური ურთიერთობა ინგლისსა და რუსეთს შორის.

ყვითელი დროშა მეორე ინტერნაციონალს,—წითელი დროშა კომპარტიას.

ამის შემდეგ ბაქოს ნავთის მრეწველობის და სხვა დარგების ათეულმა ათასმა მუშამ პატივი სცა კომუნისტურ პარტიას ბაქოს ორგანიზაციის სახით და გადასცა კონფერენციას 92 წითელი დროშა. ლურსმნის ქარხნის მუშებმა გადასცეს კონფერენციას ყვითელი დროშა მეორე ინტერნაციონალისათვის გადასაგზავნათ და ლურსმანი მისი კუბოს დასაჭედათ.

კონფერენციამ დაავალა პრეზიდიუმს გაუგზავნოს მისალმებითი დეპეშები ამხ. ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, კალინინს და რ. კ. პ. ც. კ.

არ გვინდა ასეთი „სახალხო" მოსამართლე

ა. | წ. 10 მაისს პირველ რაიონის სახალხო მოსამართლეს გადაეგზავნა კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა გან. მიერ მუსულმან ქალის ხადჯი-ბაირამ-კიზის საჩივარი თავის ქმარზე მაგამეტ-ორუჩოღლიზე. 10 მაისის შემდეგ მომჩივანი ქალი კვირაში ორ-სამჯერ დადის საბურთალოდან საკითხავად ხსენებულ განყოფილებაში: აბა, როდის დანიშნავთ საქმის გარჩევასო. მწარე ცრემლით ემუდარება, სთხოვს, ვინაიდან უკიდურეს მდგომარეობას განიცდის, ბავშვიანათ ულუკმაპუროთ დადის და მეზობლები სწყალობენ. ამისათვის სთხოვს საქმის დაჩქარებას. მაგრამ ამაზე ის ღებულობს მკვახე სიტყვებს: ვერ ვნახეთ ქაღალდი და, როცა მოვნახავთ მაშინ გაირჩევაო.

ასეთი პასუხის შემდეგ ქალ. განყოფილების ერთი წარმომადგენელი წავიდა სასამართლოში და, როგორც იყო, ქაღალდი მონახეს. მან პირადათაც სთხოვა სახალხო მოსამართლეს: ვინაიდან ეს ქალი საბურთალოდან ბავშვით ხელში ყოველ მეორე დღეს დადის. ამისათვის საჭიროა მისი საქმე გაირჩეს მალეო. ამ სიტყვებზე მოსამართლე უპასუხებს უსათუოდ მალე გავარჩევთო, მაგრამ ამით შემდეგ საქმეს არა ეშველა რა.

მომჩივანი კიდევ წერილობით სთხოვს მოსამართლეს: გვაცნობეთ, როდის იქნება დანიშნული საქმის გარჩევაო. ამაზე ის ღებულობს პასუხს: არ ვიცი ის ქაღალდი სად არის, და როცა იქნება მოვნახავთო.

ამის შემდეგ იძულებული ვარ გაზეთის საშუალებით შევეკითხო ასეთ სახალხო მოსამართლეს... არის ის ამ **შემთხვევაში—სახალხო** და ისიც ყოვლად უმწეო მუსულმანი ქალის დამცველი თუ არა და ჩვენ გვგონია ასეთი საქმის წარმოება მშრომელთა ხელისუფლების დროს არ ჩაითვლება მშრომელთა ინტერესების დაცვათ და საქმის ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს რაც შეიძლება მალე.

დამხწრე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(12 ივნისი)

ჩერვონცები —13,550 ათასი.
გირვანქები ეფექტ.—15,200 ათასი.
„ ჩეკები—13.100
დოლარები — ეფექტ.—3.500
„ ჩეკები—3.150
ქაღალ. ლირა ეფექტ.—2.200
საბჭ. ფულის ნიშნები—20.

ძვირფასი ლითონების ფასები.

(12 ივნისი).

(ჩერვონცებში)

ოქრო 96 სინჯით—6 მ. 12 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 06 კ.; ვერცხლი 84 სინჯით—მისხალი 12, კ, ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—31 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

12 ივნისი

უკანასკნელი რამოდენიმე დღე განწყობილებას ვერ სცვლის. ჩერვონცები ბირჟაზე ცოტაა, სახელმწიფო ბანკი მათ ცოტას უშვებს. მოთხოვნილება ჩერვონცებზე დიდია- დანარჩენ ვალიუტის მოთხოვნილება სუსტია.

მუშკოოპის ფასები.

12 ივნისი

თეთრი პური—45 ათასი. თეთრი ფქვილი 1 ხარ.—100 ათასი. თეთრი ფქვილი 2 ხარ.—70 ათასი. ფხვნილი შაქარი—340 ათასი. საპონი „ბაბიტი"—320 ათასი. საპონი „ტოლე"—300 ათასი. ადგილობრივი მარმალილოს საპონი—270 ათასი. ასანთი 25—40 ათასი. ლობიო 25—35 მადეპალამი—900 ათასი—1.000.

„თამბაქოს ტრესტში"

კოლეგიის დადგენილების მიხედვით თამბაქოს ტრესტის ყველა ფაბრიკატებზე ფასები დაკლებულია 20—40 პროცენტამდი:

საქონლის ბაზრის ფასები.

(საბითუმო)

ფქვილი „კრუპჩატკა"—3500 ათასი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—3000—3260. ადგილობრივი ფქვილი—1700. ყუბანის ხორბალი—1500—1600. ადგილობრივი ხორბალი—1300—1400. ლობიო—600—1000. ნატეხი შაქარი—4900—50 000 ფუთი. რუსეთის ნატეხი შაქარი ყუთი—17500. მზესუმზირას ზეთი—6000. კარაქი—1 ხარისხ. 26.000.

წინადადება ბირჟის საქონლის განყოფილებისა.

ფალცევკა აბანოზისა (კაკლისა) და მუხისა. შვინდის ჯოხები, სამკურნალო აბები, გოგირდის სიმჟავე 65,5 გრადუსიანი, კაუსტიკის სოდა, ფანჯრის მინები ცემენტი. სახურავი რკინეული ნიჩბები. მატყლი. ფხვნილი შაქარი. გერმანული მედიკამენტები. მარილის სინდიკატის ნაწარმოები, სკიპიდარი, ქვა მარილი, რუსეთის ბამბის ქსოვილები. ასანთი. სადურგლო ლურსმები. ცხვრის ნაწლევები. მაკარონი და ვერმიშელი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნახიჩევანის ქვამარილი. ყუბანი 1 ხარისხის ფქვილი სახურავის რკინეულობა. ფხვნილი შაქარი. თოკები. მაკარონი. ჩაი, ფურცლოვანი თამბაქო. ლურსმანი. ხინა. ცხვრის ნაწლევები. უმაღლესი ხარისხის სამუშაო ფეხსაცმელი.

ოფიციალური ხელშეკრულობანი.

12 ივნისი.

დღეს დაიდო ხელშეკრულობა რეზინის ტრესტთან, პრეისკურანტის ფასებში.

საქონლის ბაზრის განწყობილება,

12 ივნისი.

დღეს ფასებმა დაიწია ადგილობრივ ხორბლეულობაზე, შაქრის ფასები მაგარია. ფართლეულობაზე კი ცოტა დაიკლო ფასებმა. დანარჩენში ცვლილება არ მომხდარა.

შავი ქვის ექსპორტი 1923 წელში.

1922 წელთან შედარებით ჭიათურის რაიონის შავი ქვის ექსპორტი, როგორც რკინის გზით, ისე ზღვით იზრდება, რაც აიხსნება საზოგადოება „ჩემოს" მიერ მიღებულ ღონისძიებებით. მსოფლიო ომით დაკარგულ ბაზრის დაბრუნებით და აგრეთვე დამტვირთავ და გადამტვირთავ მუშებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების შერბილებით. ქვემომოყვანილი ციფრები ახასიათებს შავი ქვის გატანას რკინის გზით და ნავთსადგურებიდან ამა წლის პირველ ხუთი თვის განმავლობაში:

	ჭიათურიდან გატანილია.	ნავთსადგურიდან.
იანვ.	1.349.000 ფ.	710.583 ფ.
თებ.	1.782.400 „	1.453 743 „
მარტ.	2.048.800 „	1.552 219 „
აპრ.	1.638.400 „	2.590 817 „
მაის.	938.400 „	1 632.465 „
სულ	7.757.000 „	7.939 827 „

ექსპორტის შემცირება მაისში აიხსნება იმით, რომ შესწყდა მოძრაობა ჭიათურის რკინის გზის ხაზზე. ორი კვირით ლიანდაგზე ზღვავის ჩამოსვლის გამო. ექსპორტის გადიდების საერთო ტენდენცია კი თვალსაჩინოა. ამ ჟამად ფოთში იტვირთება შავი ქვით 5 გემი 625.000 ტონა ჩამტევობით. ექსპორტი მნიშვნელოვანად გაიზარდა მექანიკურ დატვირთვის მოწყობილობათა დადგმით, ხოლო სავალიუტო საკითხის ჯერ სასურველად გადაწყვეტის შემდეგ ექსპორტი მიაღწევს ომამდე არსებულ ციფრს, ე. ი. 52 მილ. ფუთს წელიწადში. ექსპორტთა ერთად, რა თქმა უნდა, იზრდება შავი ქვის ამოღებაც წინააღმდეგ შემთხვევაში ამოიწურებოდა მადნის მარაგი და გატანის საქმეს შეაფერხებდა. ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს უარყოფითი მოვლენა—მადნის ამოღების შემცირება. მადნის ამოღებაზე ამ ჟამად მუშაობს მხოლოდ ერთი ფირმა „კავკასიის სამადნო ამხანაგობა" (მთელი ამოღების 93 პროც.), ხოლო ამავე დროს მადნის მარაგი 1 ივნისიდან უდრის სულ 27 მილ. ფუთ.

ქიდან ნაწილი, როგორც ცუდი ღირსების არ შეიძლება გატანილ იქნას ევროპის ბაზარზე.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების რაიონებად დაყოფა სასოფლო სამეურნეო გადასახადის ასაკრებად.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა დაჰყოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები რაიონებად, რაიონების გადასახადის უნარიანობის პრინციპის მიხედვით დაიყოფა ორ კატეგორიად:—ფულით დაბეგვრის და ნატურალურ დაბეგვრის რაიონები.

საქართველო.

საქართველოში მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ნატურალურ გადასახადის შემოღება შემდეგ მაზრებში: რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთის და თიონეთის, დანარჩენი მაზრები დაიბეგრებიან ფულის გადასახადით.

სომხეთი.

ფულით დაბეგვრის მაზრები: ეჩმიაძინის, ვაგირშაპატის, ალექსანდროპოლის, კარაკლისის, დილიჟნის, ერევნის და სურმილინის; ნატურალურ გადასახადის რაიონები: ნოვობაიაზეთის, დარალაგეზის, და ზანგეზურის.

აზერბეიჯანი.

ფულით დაბეგვრის რაიონები: ნუხის, ზაქათალის, შემახის, სალიანის, ნახიჩევანის მხარე და ქურთისტანი; ნატურალურ დაბეგვრის რაიონები: ლენქორანის, კუბანის, ყაზახის და შუშის. დანარჩენ მაზრებში: კუბალინის, კარიაგინის, შამხორის, აგუაშის და გეოკჩაის რაიონებში მოხდება დამატებითი გამოკვლევა.

სომხეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

სომხეთიდან საქართველოში საქონლის გამოგზავნა.

უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში, სომხეთის საგარეო ვაჭრობის თბილისის კანტორის ცნობით, სომხეთიდან საქართველოში გამოიგზავნა უმთავრესად 3 ათასი ფ. კარაქი, 1 ათასი ფ. შვეიცარული ყველი, 2 ათასი ფ. თუშური ყველი, 6 ათასი ფ. მარილი, 1400 ფ. მატყლი, 1 ათასი ფ. გამხმარი ხილი და ჩურჩხელა.

ამიერ-კავკასიის ცენტროკავშირში.

ამიერ-კავკასიის ცენტროკავშირის კოლეგიამ დაადგინა: ა) ამიერ-კავკასიის ცენტრო-კავშირის სავაჭრო-წარმოებითი მოქმედების გეგმა დამტკიცდეს 4—5 თვისათვის, და წინადადება მიეცეს სავაჭრო განყოფილებას ეროვნულ კოოპერატივთა ცენტრების განცხადების თანახმად, თავისი სამზადისის გეგმაში შეიტანოს აგრეთვე ფქვილი და გააფართოვოს განზრახული ვარაუდი, ბამბის მომარაგებისა, ბ) სათანადო ზომები იქმნას მიღებული ადგილობრივ ბაზარზე საქონლის შესაძენად იმ ვარაუდით, რომ ეს საქონელი ადგილობრივ მოთხოვნილებას მოხმარდეს ეროვნულ კოოპერატივთა საშუალებით, გ) საქონლის დაგროვების და გასაღების გასაერთიანებლად ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო ორგანიზაციების მიერ მოსკოვის ბაზარზე, აგრეთვე თვითონ ამ ორგანიზაციათა მოსამარაგებლად რუსეთის სამრეწველო საქონლით, აუცილებლად უნდა გადაკეთდეს მოსკოვში მყოფი ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა ციმბირის ტიპის წარმომადგენლობად და მიენიჭოს მას ყველა იმ ოპერაციების წარმოება როგორც ამიერ-კავკასიის განყოფილების დავალებით, აგრეთვე თვითეულ ეროვნულ კოოპერაციის უშუალო შეკვეთითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეროვნული კოოპერატივები საწარმოვო ხარჯების დასაფარავად გადაიხდის 2 პროც. მათთვის დამზადებულ საქონელზე და 3 პროც. მათი საქონლის გასაღებისთვის.

პროფკავშირებში

მელითონეთა კავშირში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის საბავშვო სახლი.

მელითონეთა კავშირმა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის საბავშვო სახლს მისცა 25 მილ. მანეთის საჩუქრები და 150 მილ. ღირებულების ფართლეულობა.

პროფტექნიკური კურსები.

პროფტექნიკურ კურსებზე, რომელიც გაიხსნა მაისში, მეცადინეობს ორი წრე ქართული და რუსული, რუსულ წრეში ირიცხება 20 მუშა, ქართულში—25 მუშა. კურსები ექვსი თვის ვადიანია, კურსების საქმეს განაგებს კულტგანყოფილება.

ფონდები.

კავშირთან არსებობს სამი ფონდი: ბავშვთა ფონდი, კულტფონდი და უმუშევართა ფონდი. ბავშვთა ფონდი არსებობს გასულ წლიდან და ამ ფონდიდან დახმარება ეძლევათ 23 ობოლს. კულტფონდი არსებობს პროცენტულ ანარიცხიდან. უმუშევართა ფონდიდან მუდმივი დახმარება ეძლევათ უმუშევარ მუშებს.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდათა შორის მუშაობას. არსებობს კულტწრეები, რომელთა პირდაპირი დანიშნულება არის კულტმუშაობის გაცხოველება ახალგაზრდებთან.

წევრთა რიცხვი.

უკანასკნელ ხანს კავშირმა მოახდინა წევრთა აღრიცხვა ტფილისის მასშტაბით. საერთოდ წევრთა რიცხვი ქალაქში უდრის 2.057 კაცს. მათ შორის რუსები არიან—599 წ. ქართველები—537, სომხები—472.

სამკურნალო დახმარება.

არსენალში კავშირს მოწყობილი აქვს ამბულატორია. მუშებს ამ ამბულატორიიდან ეძლევათ მედიკამენტები უფასოდ.

აღმშენებლობის კავშირში.

თეატრი—კლუბის მოწყობა.

აღმშენებლობის კავშირმა მოწოდებით მიმართა რაიაღკომებს, რომ მათ მოაწყონ კვირეულები ავჭალის წყალსადენ მუშა-მოსამსახურეთათვის თეატრ-კლუბის გახსნის საჭიროებისთვის.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

კავშირი ადგილებთან.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ადგილებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად მოიწვიოს ხოლმე პლენუმი ორკვირაში ერთხელ ქალაქის ფარგლებში.

კულტფონდისთვის.

კავშირის კულტფონდის გასაძლიერებლად პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მიმდინარე თვის 16-ს სახალხო სახლში მოაწყოს საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება კულტფონდში.

ევ. ნინოშვილის ხსოვნას.

გაზაფხულისა ტურფა საღამოს,
ნაზი ნიავი მიწას კოცნიდა,
ამწვანებულს ველს წყარო ანკარა
წმინდა სიყვარულს ტრფობით უხსნიდა!

ბუჩქებთა შორის ცელქი ბულბული,
გარდაშლილს ვარდზე ჭიკჭიკით ხტოდა,
მოკლე სიხარულს, მოკლე სიცოცხლე—
ალმაფრენაში ალხენ ათრობდა!..

—

მოკაშკაშე ცას ვარსკვლავთა გუნდი,
პირს უშუქებდა, აკრიალებდა,
გაშლილი მთვარე ტრფობისა ნიშნად,
მიწაზე სხივებს ასრიალებდა!..

—

მინდვრად ვიდოდი, როს ცა და მიწა,
მაგრძნობინებდა სიცოცხლის ძალას!..
ამ დროს ჩამოსწყდა ბუდეს ვარსკვლავი,
გამოეთხოვა ტურფა ქვეყანას!..

—

ცა კვლავ ბრწყინავდა, მე კი მოწყენით
მას გავაყოლე მწუხარე თვალი!..
და წარმომიდგა შენი სიცოცხლე,
უსიხარულო, უდროოდ მქრალი!..

—

მას რა აკლდება, ვისაც უნათებს,
სხვა და სხვა გვარი სხივთა ლამპარი!
მხოლოდ-ღა ჩვენთვის დამაშვრალთ კენსის
შენს შემდეგ მთქმელი არავინ არი!

კატო მიქელაძე.

საკურორტო სამმართველოში

აგარაკ ახტალას „სასტუმრო სასადილოს" იჯარით გაცემა.

საკურორტო სამმართველო იჯარით იძლევა აგარაკ, ახტალას სასადილო ბუფეტს შემდეგ მინიმალურ პირობებში: 1) მოიჯარადრეს უფასოდ ეთმობა სასადილოს შენობა და ჭურჭლეულობის ერთი ნაწილი. 2) საკურორტო სამმართველო აწესებს სასადილოში ნიხრს. 3) მოიჯარადრე ყოველ-დღიურად აძლევს საკურორტო სამმართველოს 5 სადილს უფასოთ.

აგარაკ წაღვერის და ცემისთვის.

ექიმ ზანდუკელის მოხსენების თანახმად საკურორტო სამმართველოს კოლლეგიამ გადასწყვიტა სასწრაფოდ შეუდგეს 1) წაღვერის და ცემის სანატორიუმო სასტუმრო „ბორჯომის" და ქიმერიძისეული სახლის შეკეთებას. 2) დაამთავროს მიხეილის და სერგის სასახლეების რემონტი. 3) საჩქაროდ დაიდგას წყლის გასათბობად ახალი ვერტიკალური ქვაბი.

ცემის და წაღვერის შეკეთებისა და ქვაბის დასადგმელად საკ. სამმართველომ გადასდო 2000 მანეთი ოქროთი.

საჩქაროთ დასცალოს მცხოვრებლებიდან სასტუმრო старые кавалерииские номера"-ს შენობა, მისი მეტად ანტი-სანიტარულ მდგომარეობის გამო, რათა დაიცვას იგი საბოლოო ნგრევისაგან.

ბორჯომისათვის.

აგარაკ ბორჯომის დირექტორს ექ. ლომინაძეს დაევალა მოიწვიოს უმცროსი საექიმო პერსონალი ამის შესახებ გამოცემული კანონების დაცვით.

კერძო ავადმყოფებისათვის.

საკურორტო სამმართველოს დადგენილებით ყველა აგარაკზე და სანატორიუმებში მიიღება კერძო ავადმყოფებიც 130 მ. ჩერვ. ყოველ თვეში.

ბორჯომის კურზალი.

სამმართველომ გადასწყვიტა იჯარით გასცეს კურზალი ბორჯომის მინერ. წყლების ბაღში.

ციხის ჯვარის გოგირდის წყლები.

ციხის ჯვარის წყლების ექსპლოატაციის საქმის საბოლოო გამოსარკვევად იგზავნება კოლლეგიის წევრი ა. ყამარაული, რომელსაც ევალება წყაროების დათვალიერების და გასინჯვის შედეგების შესახებ კოლლეგიას მოხსენება წარუდგინოს.

სასტუმრო „მინერალური წყლები"

სასტუმრო „მინერალურ წყლები", კოლლეგიის დადგენილების თანახმად დანიშნულია ფასიან დასასვენებელ სახლად, რომლის მოწყობა სამეურნეო ხარჯების პრინციპზე ევალება ექიმ ზანდუკელს.

ოთახები პასუხისმგებელ ამხანაგებს.

კოლლეგიამ დაამტკიცა გაწესრიგებულ ოთახების სია მანგლისისათვის და აგრეთვე პასუხისმგებელ მუშაკთათვის ოთახების მიცემა აბასთუმანში.

ელექტრონის სადგური.

წაღვერსა და ბორჯომში კოლლეგიამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ელექტრონის ქსელის გაბმა და ამ მიზნით დაავალა კოლლეგიის წევრს ყამარაულს შეადგინოს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა და გამონახოს ქონებრივი სახსარი, რომელიც შემდეგში დაფარული იქნება ელექტრონის სადგურისა და სეზონის ბილეთებიდან შემოსული ფულით.

მანგლისისათვის.

აგარაკ მანგლისის მეურნეობის გამგეს მანგლისის შეკეთებისათვის მიეცა 170 მილიონი მან.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **პირადობის წიგნაკების დარიგება.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ პირადობის წიგნაკების დარიგება დასრულდება 15 ივნისს.

განათლების კომისარიატში

— **პოლიტ-განათლების განყოფილების გამგე.** პოლიტ-განათლების განყოფილების გამგე ამხ. ხაჰპურიძის მაგივრათ დაინიშნა ამხ. ი. თალაქვაძე ა. | წ. 11 ივნისიდან.

— **სასწავლებლის გადაკეთება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი 1923 წლის 1 ივნისიდან გადაკეთებულ იქნა: „ბორჯომის სატყეო ტეხნიკუმათ" და მის გამგეთ დაინიშნა მიხ. თაქთაქიშვილი.

— **საცეკვაო სკოლების დახურვა.** განათლების კომისარიატის განკარგულებით დაიხურა ტფილისში არსებული შემდეგი კერძო ცეკვის სკოლები: მ. ავაქოვის (ლერმ. ქ. № 20), არესტაკესიანცის (ბებუთოვის ქ. № 13), გ. ესაიანცის (პუშკინის ქ. № 4), ამხ. ადამიანცის (ნერსისოვის ქ. № 8), ნ. აკოპოვის და ჩივაძის (ხაზინის ქ. № 5), კ. ანდრონიკაშვილს (კამოს ქ.), ი. როზენბურგის (ნიკოლაევის ქ. № 101), ს. გოცირიძის (მადათოვის ქ. № 5), ნ. ბექთაბეგოვის (კადეტის ქ. № 9), ა. ინოჩენცის (მიხეილის პრ. № 59), ვ. ეტარიანის (გრიბოედოვის ქ. № 6), ა. ალექსიძის (ნიკოლაევის ქ. № 47).

ქალაქის აღმასკომში

— **წყლის მიწოდება.** აღმასკომის სტატ. განყ. ცნობით მაისის განმავლობაში ავჭალის წყალსადენის საშუალებით ამოღებულ იქნა 20 909465 ვედრო წყალი. შედარებით წარსული წლის ზოგიერთ თვეებთან წყლის ამოღების საქმე გაუმჯობესებულია.

— **სავეტერინარო სექცია.** ქალაქის აღმასკომის სავეტერინარო სექციაში, მაისის განმავლობაში შემოვიდა 1,550,181 მან. ოქრ.

— **საბურთალო.** ქალ. აღმასკომის საამშენებლო განყოფილებამ შეიმუშავა საჭირო ხარჯთაღრიცხვა საბურთალოში ქუჩებში ახალი არხების გასაყვანათ.

დამზღვევ კასაში

— **დახმარება.** დამზღვევ კასამ მაისის განმავლობაში უმუშევრებს აღმოუჩინა დახმარება 2,192,671,000 მან. რაოდენობით.

— **ბოროტ-მოქმედება.** დამზღვევ კასის გამგეობამ აღმოაჩინა ქარხანა „ტემზა"-ში სოც. დაზღვევის კანონების დარღვევა და შემდეგი ბოროტმოქმედება: ავადმყოფი მუშები აღნიშნულ ქარხანიდან ღებულობდენ ჯამაგირს და ამავე დროს დახმარებას დამზღვევ კასიდან. ბოროტ-მომქმედნი გაექცნ სასამართლოს.

კოოპერაცია.

— **ცეკავშირის გამგეობას დეპეშა ხარაგოულიდან.** ხარაგოულის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა მხურვალედ ესალმება თქვენს ენერგიულ მუშაობას კოოპერაციის განსამტკიცებლად. ვისურვებთ ისეთი ჩქარის ტემპით აღორძინებულიყოს ახლად წამოწყებული და ახალი სისტემის კოოპერატივები, როგორც ამას მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესები. ყრილობის პრეზიდიუმი.

სხვა და სხვა.

— **მოსკოვის გამოფენისათვის.** მოსკოვიდან მიღებული ცნობების თანახმად, მთავარი საგამომფენო კომიტეტის მიერ საქართველოდან მიმავალ ექსკურსანტთა რაოდენობა განსაზღვრულია 846 კაცით. შეღავათი ექსკურსანტებისათვის ჯერ-ჯერობით შემდეგში გამოიხატება:

1) 50 პროც. შეღავათი რკინის გზაზე მგზავრობისათვის.
2) უფასო ბინა მოსკოვში.
3) იაფი კვება და ხარჯი მოსკოვში.
4) გამოფენის უფასოდ დათვალიერება საექსკურსიო ბიუროს მიერ მიღებულია ზომები რ, | გ. ტარიფის უფრო გასაიაფებლად და აგრეთვე კვების საქმის თითქმის უფასოდ მოგვარებისათვის.

— **მოსკოვის სახ.-სამ. გამოფენის გამო.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა თხოვოს ა.—კ. სახ. კომისართა საბჭოს რათა მიეცეს 60 მ. ოქროთი. მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისათვის საორგანიზაციო მუშაობის გასაწევათ.

— **ძვირფას ნივთეულობის მაღაზია.** სახ. კომ. საბჭომ დაადგინა საქ. საფინანსო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ძვირფას ნივთეულობის მაღაზია გადაეცეს სახალხო ბანკს.

— **სატელეფონო ნიხრი.** 1 ივნისიდან დაწესებული იქნა სატარიფო ნიხრი 1 კაპ. ნახევრიდან 2 კ. ნახევრამდე.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევრების მოთხოვნილება.** გროზნის აგურის ქარხნის ადგ. წარმომადგენლობამ განცხადება შეიტანა შრომის ბირჟაში, გროზნის აგურის ქარხანაში 80 უმუშევარის გასაგზავნათ, თითო მუშას დღეში მიეცემათ 200 მილიონი საბჭოთა ფულის ნიშნებით.

— **მორიგეობა.** შრომის ბირჟასთან შემოღებული იქნა ბირჟის კომიტეტის წევრთა მორიგეობა. მორიგეობის მიზანია სხვა და სხვა კით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშების დაჯილდოება.

ა. წ. 16 მაისის სხდომაზე ღვინის ტრესტის გამგეობამ დაადგინა: № 6 ლუდის სახდელი ქარხნის მუშებს,—ამხ. ვეტელს, გლუშკოვს, ივანოვს, ზედინს, გულიტაშვილს, პაევსკის და ზაკლეცკის, რომლებმაც ხსენებული ქარხანა 6 მაისს წყალდიდობის დროს დაღუპვას გადაარჩინეს, მიეცეს ჯილდოდ თითოს ათი მილიონი მან. და ბრძანებით გამოეცხადოს მადლობა. რაც უკვე მოყვანილია სისრულეში.

მუშკორი მოხიკეთე.

ტფილისის ტრამვაის ცენტრალური ელექტრო სადგური

სადგურის წარმოების საქმე კარგ დონეზე დგას. სადგური თვის აპარატებით.

ეს უნდა მივაწეროთ, სხვათა შორის ამ წარმოების მუშებს, რომელნიც ბეჯითად და მუყაითად ეკიდებიან საქმეს.

აღსანიშნავია აგრეთვე დირექციის სალი მოქმედებაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქ იშვიათია შტატების შემცირება. ეს გარემოება კი ამხნევებს მუშას და ზრდის მისი შრომის ნაყოფიერებას.

ზოგიერთ წარმოებებში ხშირად ხდება „მოგლეჯა“ მუშისა ერთი სამუშაოდან და მეორე (სხვა) სამუშაოზე გადაყვანა. აქ კი ამ სადგურში, ასეთ ფრიად არა ნორმალურ მოვლენას ალაგი არა აქვს. აქ სამუშაო საქმე წესიერად არის განაწილებული მომუშავეთა შორის და ყოველი მუშა თავის სპეციალობის მიხედვით მუდმივად ერთ და იმავე საქმეზეა მიმაგრებული.

ასეთი მუშაობა მითაა ნაყოფიერი, რომ ის მუშა, რომელიც ხანგრძლივად თავის შრომით დამოკიდებულია ამა, თუ იმ საწარმოო „აპარატი“-საგან, ასეთ „აპარატის“, თუ მანქანის ბუნებას და სხვა და სხვა თვისებებს ყოველთვის ზედმიწევნით ეცნობება და ამიტომაც კარგადაც უვლის და აწარმოებს მას.

სადგურის დირექციის ყურადღება უნდა მივაქციოთ მხოლოდ ორ გარემოებაზე:

1) სადგური შინა კედლებით და მინის სახურავით მეტად გაშავებული და მტვრიანია; სჩანს, დიდი ხანია სადგურს რემონტი არ ჰქონია, რომელიც მისთვის ძალიან საჭიროა.

2) სადგურის მუშები მოკლებული არიან საშუალებას ხშირად დაესწრონ სხვა და სხვა კულტურულ გასართობებს და ლექციებს, რომელიც იმართება მუშათა ცენტრალურ კლუბში და სხვა და სხვა მუშათა უბნებში.

აქ მთელი სამუშაო დრო განაწილებულია მუშათა შორის სამ რიგად და სამუშაო დროს განაწილების ეს წესი იშვიათად აძლევს მუშებს საშვალებას სისტემატიურად იარონ ლექციების მოსასმენად.

წინად სადგურში სამუშაოზე იყო ოთხი „რიგი“ მომუშავეთა და მაშინდელ პირობებში კიდეც ქონდათ მუშებს საშვალება დანიშნულ დროზე ევლოთ კულტურულ დაწესებულებებში თვით განვითარების მიზნით.

ამიტომ აუცილებლივ საჭიროა სწავლა-განათლებას მოწყურებული მუშების მოთხოვნილებას მიექცეს ყურადღება და მოხდეს აქ სამუშაოს იმ წესით განაწილება, რომ მათ საშვალება ქონდეთ სისტემატიურად იარონ ცოდნა-განვითარების შესაძენად მუშათა კლუბებში მუშათა თეატრებში, სამკითხველოებში და სხვა.

მუშკორი ჩხმელი.

ს. ფ. უ. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტი.

ამა ივნისის ბოლო რიცხვებიდგან, ტრესტის მიერ ამუშავებულ იქნება სამი ახლად შეკეთებული ქარხანა: 1) ლუდის სახდელი, 2) სახამებელის და 3) ყინულის, რომლებიც მნიშვნელოვნად გააფართოებენ ტრესტის წარმოებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ლუდის სახდელი ქარხანა განახლდა თვით მუშების თავდადებულ და ენერგიული მუშაობით, რომელთაც არ დაიშურეს ენერგია და საერთო კრების დადგენილების თანახმად რამოდენიმე თვის განმავლობაში 1 საათით ზედმეტს მუშაობდენ ყოველდღე. ეხლა უკვე, როდესაც ქარხანა სავსებით განახლდა ეს ზედმეტი საათი მოხსნილია.

მუშკორი ხც—ძე.

სასანიტარო-საკურორტო კომისიაში

(ჯანსახკომის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

სასანიტარო - საკურორტო - გადამრჩევ კომისიაში მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს კანცელარიასთან მე-2-რე სართულში, სადაც (ბალკონზე) იყრის თავს მრავალი რიცხვი ავადმყოფებისა. ბალკონზე არ არის საკმაო რიცხვი სკამებისა, რომ ავადმყოფთ ჰქონდეთ საშუალება დაჯდენ მაინც, და დასუსტებულნი თუ სიცხით, თუ ავადმყოფობით, წელში მოხრილნი ეყრდნობიან ბალკონის მოაჯირებს.

ამ უბედურებას კიდე როგორმე კაცი გაუძლებდა, რომ ავადმყოფთა მიღებაში ოდნავად მაინც იყოს დაცული წესიერება. კომისიის მიერ დაკავებულ ორ ოთახიდან, წინა ოთახი უჭირავს კომისიის კანცელარიას, სადაც ღებულობენ განცხადებებს ავადმყოფებისაგან სათანადო ექიმებისა და პროფკავშირების მოწმობებით, რომ მათ მართლაც ესაჭიროებათ საკურორტო ექიმობა და ნიშნავენ ავადმყოფებს რიგში შესამოწმებლათ.

როდესაც დანიშნულ დღეს ავადმყოფები შესამოწმებლათ მიდიან, მათ ეძლევათ დილიდანვე №№ ბი რიგზე, რომლების მიხედვითაც წინა ოთახში უნდა შევიდენ, შეავსონ იქ დაწესებული ანკეტები და შემდეგ კი შედიან თვით კომისიაში.

კომისიის წევრები თავის დროზე ცხადდებიან და იწყებენ ავადმყოფების მიღებას, მხოლოდ მიღების დროს კი კანცელარია არავითარ ყურადღებას დაწესებულ რიგს აღარ აქცევს, დაუძახებენ ავადმყოფთ, როგორც მოისურვებენ და მოხვდებათ.

ყველაფერზე უფრო აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აქ ავადმყოფების მიღებაში დიდი ადგილი უჭირავს პროტექციას.

დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათმდე ვიდექი მოაჯირზე მიყრდნობილი და ვუცქეროდი, თუ როგორ იწვევდა ოთახში რიგს გარეშე თავის ნაცნობებს სათითაოდ ვინმე კამალოვი, რომლის კომისიასთან დამოკიდებულებაც მე ვერ გამოვარკვიე, ვინაიდან ის თვით კანცელარიაში არ მუშაობდა და არც კომისიაში იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ თუ მხედველობაში მივიღებთ „წითელ-ჯვარს“ მის ქუდის „კაკარდა“-ზე, მგონია, რომ ის (კამალოვი) ექიმი უნდა ყოფილიყო. ის გარემოება კი, რომ ის არც კანცელარიაში მუშაობდა და არც თვით კომისიაში იღებდა მონაწილეობას, ნათელ ჰყოფს ფაქტს: რომ ის მიდის იქ სპეციალურად თავის ნაცნობებისათვის პროტექციის გასაკეთებლად.

არაფერი გვექნებოდა სათქმელი, რომ მოქალაქე კამალოვს გაეყვანა იქ ისეთი ავადმყოფები, რომლებიც მართლაც ძლიერ დასუსტებულნი იყვნენ და უჭირდათ სიცხეში ფეხზე დგომა, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთ ასეთისათვის მას არ დაუძახნია და უძახოდა შედარებით-საღ ხალხს.

მიუხედავათ იმისა, რომ ანკეტების შესავსებათ კანცელარიამ დაიწყო ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან და მე კი ვიდექი რიგში მე-9-ე №-ით, რიგმა მოაწია ჩემამდე მხოლოდ ნაშუადღევის 1 სამ-მეოთხედ საათზე, რომლის შემდეგაც ძალზე მისუსტებული, მუხლების ძიგძიგით მოვაბიჯებდი ფეხს ჩემ სამსახურისაკენ და ფიცს ვაძლევდი ჩემს თავს, რაც უნდა გაჭირვება მქონოდა, შემდეგში იქ აღარ მივსულიყავი.

ვინმე მუშა ავადმყოფი.

მუშათა ქრონიკა

— **უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ.** უმაღ. სამეურნეო საბჭოს ავეჯეულობის სახელოსნოს მუშებმა უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ გადასდვეს დღიური ხელფასი.

— **წითელი დროშის შეძენა მუშების მიერ.** ამავე სახელოსნოს მუშებმა: უპარტიოებმა და პარტიულებმა ერთად ქარხნის დროშის შესაძენად გაიღეს საჭირო თანხა თავიანთ ხელფასიდან. დროშა ამ დღეებში შეძენილ იქნება.

— **პროფ-ტეხნიკური კურსები მუშათა ბავშვებისთვის.** პოლიგრაფ. კავშირთან არსდება პროფ-ტეხნიკური კურსები მცირე წლოვან მუშებისთვის. კურსების მიზანს შეადგენს დახელოვნებულ პროფ-მუშაკების მომზადება.

— **მუშათა ექსკურსიები.** პოლიგრაფ. კავშ. პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე ზაფხულს მოეწყობა ექსკურსიები, რომელთაც ექნება მეცნიერული ხასიათი.

— **მეტყავეთა კავშირში.** ა. წ. 6 ივნისის სხდომაზე მეტყავეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა: მოეწყოს ამხ. კახიანის, (მუშაა) როგორც ერთ საუკეთესო მეტყავეთა კავშირის ორგანიზატორის, 20 წლის იუბილე. არჩეულია სპეციალური კომისია ამხ. სარქისიანის, ტრდატიანის და გულიევის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს ახლო მომავალში იუბილეს ჩასატარებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა გამგეობისთვის დასამტკიცებლად.

ამავე სხდომაზე კავშირის გამგეობამ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა თბილისის აღმასკომის წინაშე 1-ლი შრომის ფეხსაცმელების არტელის ბინაზე დადებულ გადასახადის შემცირების შესახებ, ვინაიდგან არტელი უმუშევრებისაგან შესდგება და ბინის გადასახადის შეუმცირებლობის გამო მოსალოდნელია არტელის მოსპობა და შრომის ბაზარზე 20 მდე უმუშევარის გადმოსროლა.

ხმებზე პასუხის და საჭირო ინსტრუქციების მიცემა.

გამომცემლობა.

— რედაქციამ მიიღო პოლიტგანათლების მიერ გამოცემული და სანდრო ქურიძის მიერ შედგენილი: „ხელოვნება და რევოლიუცია თეატრი“, რომელშიაც წერილებს გარდა მოყვანილია რეპერტუარი სახალხო თეატრებისთვის,

ხელოვნება

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის გასტროლები.

„ზღაპარი სულელ ივანეზე და მის ძმებზე“.

დრამატიულ ხელოვნებაში ახალი გზების მაძიებელ მოსკოველმა სტუდიელებმა დასდგეს მ. ჩეხოვის მიერ სცენისათვის გადაკეთებული ლ. ტოლსტოის „ზღაპარი სულელ ივანეზე და მის ძმებზე“. მე არ მგონია, რომ მკითხველებისათვის საინტერესო იყოს ზღაპარის ფაბულა; ზღაპარი, რასაკვირველია, დაწერილია მშვენიერი მხატვრული ენით, მაგრამ ის პრიმიტიული და გულუბრყვილოა გარეგნული შინაარსით; მასში გამოყვანილია ეშმაკები, კუდიანები და ჰინკები, მასში საზღაპრო გარდაქმნა ხდება გლეხებისა მეფეებად და პირიქით; ზღაპარში დახატულია აგრეთვე ჯოჯოხეთი ცეცხლით, რომელშიაც სწვავენ ჯოჯოხეთში მოხვედრილთ და სხვა.

ერთი სიტყვით ნამდვილი ზღაპრული მოწყობილობაა. გარეგნული შინაარსით ეს წარმოდგენა თავიდან ბოლომდი საცქერი ხასიათის მატარებელი წარმოდგენა იყო.

საცქერი კი ბევრია, რადგან ახალგაზრდა მხატვრებმა ეს პიესაც მეტად სტილიურად და მხატვრულად მოაწყვეს; პიესა სისწორით მიმდინარეობს, ყველა თავის ადგილზეა, თვითეული სცენა, თვითეული დიალოგი, თვითეული ჟესტიც კი, არა ერთხელ არის, ალბად მოფიქრებული და რეპეტიცია გაკეთებული, საერთოდ ზღაპრული და მეტად ლამაზი სურათი გამოდის. მე მგონია „ივანე სულელის ზღაპარი“, მიუხედავად მისი მრავალსახიანობისა, ყველასათვის ცნობილია. ყველა, მე მგონია, ჯერ კიდევ ბავშობაში გაეცნობოდა ამ პოპულიარულ რუსულ ზღაპარს—სადაც ზღაპარის გმირი „ივანე —სულელი“—ყველაზე ჭკვიანი და ცხოვრებაში ყველაზე უფრო ბედნიერი აღმოჩნდება. სულელის ცნება შედარებითი ცნებაა და ხშირად იქ, სადაც გონია სისულელეა, ნამდვილად ჩვენს წინ ღრმა ჭკუა, გამჭრიახობა და ეშმაკობაა, ასეა ამ ზღაპარშიც—ახალგაზრდა ყმაწვილს ივანეს—ყველა სულელად სთვლის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის თვითონ ასულელებს და იმორჩილებს ყველას. ეს იდეა გერმანულ ლიტერატურაში გატარებულია ფულდის კომედია „სულელში“, სადაც კომედიის გმირი, რომელსაც ყველა სულელს ეძახის, ბოლოს ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი აღმოჩნდება. მაგრამ ზღაპარს აქვს ღრმა ფარული აზრი—ეს არის ნიჭიერად დაწერილი სატირა თანამედროვე მოძველებულ ცხოვრების წესწყობილებებზე და იდეალებზე; ავტორი ალეგორიულ ფორმებში დასცინის მათ და აღნიშნავს მათ ზედმეტობას.

დავიწყოთ ჯოჯოხეთის ეშმაკიდან—ეს არის ალეგორია ცუდ ინსტიქტებზე, რომელიც ადამიანის ბუნებაშია ჩამარხული და ყველა ის, რასაც ეს ინსტიქტი ქონის ჯანმრთელ დასაწყისთან პირველ შეხვედრისთანავე იშლება. ამ ჯანსაღი აზრის განსახიერება არის—ივანე სულელი, ახალგაზრდა ჯანსაღი გლეხი (მიწის მარილი), რომელსაც შეუძლია გამოერკვეს ცხოვრების რთულ პირობებში და გაარჩიოს ცხოვრების უნარიანობისა და ჯანმრთელობის დასაწყისი ძველ მოძველებულ და ავადმყოფ დასაწყისიდან (ზნეობრივად—რასაკვირველია). ზღაპარში დაცინვაა აგრეთვე გამდიდრებისაკენ მისწრაფებაზე—ივანეს ერთ-ერთ ძმის გასუქებულ ტარასის სახით, რომლის ერთადერთ იდეალათ არის ჭამა, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც ყოველთვის მშიერია (ეს ალეგორიაა გამდიდრებისაკენ მისწრაფებაზე და სიმდიდრის გამოუყენებლობაზე).

ზღაპარი დაცინვაა აგრეთვე (მეორე ძმის სიმონ მეომარის სახით) ბრძოლისა და სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებისაკენ მისწრაფებაზე. ზღაპარში სატირაა კიდევ ძალა-უფლებისაკენ მისწრაფებაზე; ყველა ეს გაბერილი მეფეები უფსკრულში ეჩეხებიან, მაგრამ მათ ისევ ის ჯანმრთელი დასაწყისი—ივანე—სულელი—შველის. ასეთია მოკლეთ ზღაპარის აზრი.

წარმოდგენაში დადგმასაც კარდინალური ადგილი უჭირავს. ზღაპარში მრავალი ფეერიული ადგილებია, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფო ოპერის ტეხნიკური რესურსების სიმდიდრე. მაგალითად „ჯოჯოხეთი“, დეკორატიული ჯოჯოხეთური ცეცხლით, ეშმაკით და მისი მეგობარი—კუდიანით. რა სასაცილო ფიგურები: მხტუნავი და მოწრიპინე ჰინკები, ივანეს ძმები—გასივებული ტარასი და მეომარი სიმონი, მათი ცოლები—ყველა ისინი კომიზმის განსახიერება იყვნენ. თავიდან ბოლომდი სასაცილო იყო „ტარაკანის მეფე“. მეტად ლამაზი და პლასტიურები იყვნენ ამ მეფის ცოლები.

ჭეშმარიტად გიკვირს ადამიანს, როგორ დეტალებამდის მისულან მსახიობები ტიპების განსახიერებაში. მაგალითად, ორი ქალი, რომელნიც ივანე-სულელთან მივიდენ რაღაც საჩივარით, ისინი ხომ მათი ბებრული სიცილით და ჩიფჩიფით, ნამდვილი მინიატურები ყვვენ.

დასასრულ ვიტყვი, რომ მაინც სასურველია ვნახოთ მსახიობები და მათი მშვენიერი ensemble უფრო ცხოვრების გამომხატველ და რეალურ პიესაში.

ძველი.

— **სახელმწიფო ქართული დასი საგარაკოდ.** სახელმწიფო ქართული დასი მიემგზავრება ბორჯომს, რომელიც გასწევს წინასწარ მუშაობას მომავალ სეზონისათვის.

— **მსახიობთა გაზეთი.** ქართველ მსახიობთა კავშირმა დაადგინა შემოდგომიდან გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი.

— **სომხური ოპერეტა.** ამ ჟამად რუსთაველის თეატრში მუშაობს სომხური ოპერეტა ახალი შემადგენლობით. აღნიშნულ ოპერეტის შემდეგ განზრახულია თეატრის კაპიტალური შეკეთება.

— **წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბი.** წითელ-არმიელთა ცენტ. საზაფხულო კლუბის თეატრში წარმოდგენები იდგმება კვირაში ორჯერ—აგრეთვე დაიწყო ქართული ოპერების დადგმა. კლუბში წითელ არმიელებს უფასოდ უშვებენ.

— **„წითელი ვარსკვლავი“.** სახ. გამომცემლობამ გამოსცა ა. ბოგდანოვის რომანი „წითელი ვარსკვლავი“.

— **პროლეტარულ პოეტის ა. აკოპიანის 30 წლის იუბილე.** პროლეტარულ პოეტის აკ. აკოპიანის 30 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად შესდგა საიუბილეო კომიტეტი იუბილეს მოსაწყობად. იუბილე გაიმართება ამ დღეებში.

პროვინცია,

— **შიათურის თეატრი.** მომავალ სეზონისათვის უკვე დაიწყო სამზადისი მუშაობა. რეჟისორ-ხელმძღვანელად განზრახულია მიწვეულ იქნეს მსახიობი ალ. იმედაშვილი.

— **სახალხო სახლი სოფელ მაჩხაანში.** ახლო ხანში დასრულდება სახალხო სახლის აგება სოფ. ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის მაზრა). აღნიშნულ სახლში მოწყობილი იქნება სცენა, სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

პროვინციაში

შორაპნის მაზრა.

შორაპნის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ამა წლის 1-ლ ივნისს მოწვეულ იქნა შორაპნის მაზრის, ქალაქის და თემების აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობა.

ყრილობის საგანი იყო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი მთელი რიგი საკითხების განხილვა.

ყრილობა გაიხსნა დილის 10 საათზე. საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამაზრო კომიტეტის აგიტ-პროპის გამგე ამხ. ვ. სუფსისპირელი, რომელიც შეეხო უკანასკნელ ამბებს: ინგლის-რუსეთის კონფლიქტს, ვოროვსკის მოკვლას, რურის ოკუპაციას, ლოზანას კონფერენციას და სხვ.

მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია. სამაზრო აღმასკომის მ | წლის 1-ლი მაისიდან მოღვაწეობის და მომავალი მოქმედების გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე.

მან გააცნო ყრილობას აღმასკომის მუშაობა, განმარტა მომავალი განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა, დაასურათა ქალაქის და მაზრის მასშტაბით კომუნალური სააღმშენებლო საქმეების მიმდინარეობა.

შეეხო მაზრაში საგანმანათლებლო საქმის თანდათანობით თავის სიმაღლეზე დაყენებას და განათლების დარგის მუშაკთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყრილობის წინაშე ჯამი გაუკეთა შორაპნის მაზრის მილიციის მოქმედებას ბანდიტიზმთან და ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში, რაც ნაწილობრივ შემდეგში გამოიხატება: წ. | წ. უკანასკნელ და მიმდინარე წლის პირველ რიცხვებში მაზრის მილიციამ ბოლო მოუღო და სავსებით აღმოფხვრა ბანდიტიზმი, რომელიც მაზრის და კერძოთ ჩხარის უბნის მშვიდობიანთ მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევდა. სახელდობრ ქუთაისის მაზრის ფარგლებში, სოფელ ოფჩაში მოკლული იქნენ მილიციასთან ბრძოლის დროს ყოფილი თავადი **ბაჭუკი იშხნელი** და **ჰიჯიკო ჭუმბურიძე**, რომლებმაც ამ რამდენიმე თვის წინეთ ვერაგულად მოკლეს დაბა ჩხარის აღმასკომის თავმჯდომარე და მასთან პარტიული ამხ. **ხეკორკოტოვი**; მ | წლის 30 მარტს სოფ. ვარდიგორაში მოკლული იქნა ცნობილი ბანდიტი, ორგანიზატორი შორაპნის მაზრის ბანდიტიზმისა, ყოფილი თავადი **გრიგოლ აბაშიძე**. აბაშიძესთან ერთად დაჭრილ იქნა უკანასკნელის მხლებელი, ბანდიტიზმის ტეხნიკურად ხელის შემწყობი **ვანო მეგრელიშვილი**, შეპყრობილ იქნენ მოხეტიალენი ბანდიტები: 1) **ბიძინა მდივანი**, 2) **ვანო ბრეგვაძე**, 3) **გერასიმე ჭუმბურიძე**, 4) **შალვა გიორგაძე**, 5) **ანასტასია იშხნელი**, 6) **ჰიჯიკო გიორგაძე** და 7) **კოლია იშხნელი**, რომელნიც გადაეცა ქუთაისის მაზრის 3 | ბიუროს, მ | წ. 14 აპრილს შეპყრობილ იქნენ ქალ. ფოთის გამასწორებელი სახლიდან გამოქცეული ყაჩაღები: 1) **ამბროსი აბულაძე** და 2) **გრიგოლ ნიკოლაძე**, შეპყრობილი იქნა აგრეთვე ქუთაისის გამასწორებელი სახლიდან გამოქცეული ყაჩაღი **ილია ივ. კაპანაძე**, ისინი გადიგზავნენ კუთვნილებისამებრ.

მომხსენებელმა აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელიც მაზრის მილიციას ხელს უშლიან ბანდიტიზმსა და ბოროტმოქმედებასთან უფრო ინტენსიურ ბრძოლაში.

მომხსენებელი შეეხო დანარჩენ განყოფილებათა მუშაობასაც.

ამხ. მ. ნიორაძის მოხსენება ყრილობის მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ყრილობაზე გააკეთა მოხსენება სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილების გამგემ ამხ. კილაძემ და აღნიშნა, რომ წ. | წ. უკანასწნელს და მ | წლიდან მაზრაში მიმდინარეობს აგრარული რეფორმა. მაზრის მასშტაბით ჩამორთმეულია ძველ მემამულეებისაგან 19.000 ქცევა მიწა 68—სახლი, 39—წისქვილი და სხვა, სულ დანაწილებულია ღარიბეს გლეხებს შორის.

მომხსენებელმა აღნიშნა დეფექტები თემების ადგილობრივი მიწის კომიტეტების მუშაობაში.

ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც იწონებს მიწადმოქმედების განყოფილების წარსულ მოქმედებას და მომავალში უსურვებს მეტ ინტენსიურ მუშაობას.

ყრილობის დასასრულს შემოვიდა წინადადება: „ყრილობის სახელით გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა რევოლიუციის ბელადს, ამხ. ლენინს“, რაც ყრილობამ ერთხმად და მქუხარე ტაშის ცემით მიიღო.

ყრილობა დაიხურა საღამოს 11 საათზე.

იმედი.

ლეჩხუმის მაზრა.

ყველასათვის ცხადია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ლეჩხუმის მაზრაში მოგზაურობა უგზოობის გამო. ეს სიძნელე ამ ჟამად, თითქმის განახევრებულია. სამაზრო ორგანიზაციებს ამხ. ქაჯაიას, გოლეთიანის და ჩაკვეტაძის ინიციატორობით, მაზრაში გაუკეთებიათ უსაჭიროესი ხიდები და გზები. მათ შორის აღსანიშნავია ერთი გზა, რომელიც აერთიანებს ქ. ცაგერს ოსეთის სამხედრო გზასთან. ეს წარმოადგენს უმოკლეს მანძილს ქ. ცაგერის და ოსეთის გზის შუა და გაყვანილია მაზრის ისეთ ნაწილებში, სადაც მჭიდროთ არიან დასახლებული და გზის უქონლობის გამო მოწყვეტილი ყოფილან კულტურულ ცენტრს. დიდი ხანი არ არის, რაც ამ გზის გაკეთება დაუწყიათ, მაგრამ ისე თავგამოდებით, რომ ყოფილი კლდე დღეს წარმოადგენს შარაგზას. მართალია, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ არის ნიშნები, რომ დაწყებული საქმე შესრულებული იქნება ბოლომდი.

მოგზაური.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 55.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 7.

შავი ზღვის ნაპირის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურში სალუზო გადასახადის გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 62 ნომრით გამოცემული დადგენილების პირველ მუხლში გათვალისწინებული შეღავათი ნავჭურჭელთა სალუზო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ პირველი 72 საათის განმავლობაში ნავჭურჭელის ნავთსადგურში მოსვლის დროიდან, გავრცელდეს მხოლოდ იმ ნაოსნობის საზოგადოებათა სამგზავრო და საბარგო ნავჭურჭელზე, რომელთაც დააწესეს რეგულიარული მიმოსვლა, ე. ი. რომელთა ნავჭურჭელი მოდის ხოლმე ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში განსაზღვრულ დღეებს,—საერთოდ ორჯერზე არა ნაკლებ თვეში.

2. განთავისუფლდეს სალუზო გადასახადისაგან პირველი 120 საათის განმავლობაში ის ნავჭურჭელი, რომელიც მოდის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში შავიქვისათვის, ხოლო ცარიელი; ნავჭურჭელი, ზემოაღნიშნული რაიონის ნავთსადგურებში ტვირთით მოსული, რომელსაც უკან თუნდა შავი-ქვაც მიჰქონდეს, დაიბეგროს ყველა გადასახადით ყოფილ საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსადმი 1921 წლის ნოემბრის 3-ს თარილითა და 84 ნომრით გაცემული ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად.

3. ნება მიეცეს ნავთსადგურთა განყოფილებას ამა დადგენილების პირველი მუხლის განსავითარებლად შეიმუშავოს და განახორციელოს დაწვრილებითი წესი აღნიშნულ გადასახადთა გადახდევინების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—მ. პოლის.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი—გ. სარუხანოვი.

დადგენილება № 57.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

30 მაისი, 1923 წლ.

მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯების კომპენსაციის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 81 მუხ.-ის თანახმად ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) ვადა და ხანგრძლივობა მუშა-მოსამსახურეთა სამსახურის საქმეების გამო მივლინებაში გაგზავნისა სისწორით განსაზღვრული უნდა იქნეს უწყებულ პირის მივლინებაში დანიშვნის დროს, და აღნიშნული მივლინების საბუთში.

მივლინების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს.

2) მივლინების ვადის გადაცილებით და სხვა მიგან გამოწვეულ ხარჯების ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვადის გაგრძელების შესახებ თავის დროზე იყო ნებართვა მიღებული, თვით მივლინების ნება-დამრთველ სათანადო თანამდებობის პირისაგან. ან თუ მივლინებული დაამტკიცებს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე მივლინების ვადის გაგრძელების აუცილებლობას-ოფიციალური საბუთებით.

3) მივლინებაში წასვლის დღე და დღე, მივლინებიდან დაბრუნებისა, შედის მივლინების დროის ანგარიშში.

4) მივლინებულს სამსახურის ადგილზე ენახება საშუალო ხელფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ-კი ის ამ ხნის განმავლობაში არ ღებულობს მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა ჯილდოსაც, 81 მუხ. აღნიშნულის გარდა.

ნარდად მომუშავეთ საშუალო ხელფასი ენახებათ სათანადო კატეგორიის მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მუშაკის საშუალო ხელფასში შედის დაკავებულ თანამდებობის მიხედვით შრომის დაჯილდოების ყველა სახეებისაგან შემდგარი მთელი გასამრჯელო და მათ რიცხვში ძირითადი სატარიფო, პერსონალური ან სპეციალური განაკვეთი, ზედმეტი ან ნარდი სამუშაოს ჯილდო, პრემია და სხვა.

5. დღიურის რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნაკლები საერთო—სახელმწიფო მინიმუმის 17 ხარისხოვან სატარიფო ქსელის მე-10-ე ხარისხის თვიურ სატარიფო განაკვეთის 1 | 24-ი ნაწილისა და არც უნდა აღემატებოდეს კანონით დაწესებულ შრომის ხელფასის საერთო-სახელმწიფო მაქსიმუმის 1 | 24-ს.

6. მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებიდან ანაზღაურებული უნდა იქნეს მივლინებულის მიერ ფაქტიურად გაწეულ ქვემოხსენებული ხარჯები.

ა) სამგზავრო ღირებულება—მივლინების ადგილამდე არსებულ ტარიფის მიხედვით: რკინის გზით, (მაგარი ადგილის მიხედვით) და სათანადო პირობებში საზღვაო, შარაგზით თუ მიმოსვლის სხვა საშუალებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მივლინებას აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა და სასწრაფო ხასიათი, მაშინ სამგზავრო ხარჯები ანაზღაურებული უნდა იქმნას სასწრაფო მატარებლით და მიმოსვლის სხვა სასწრაფო საშუალებით მგზავრობის და აგრეთვე რბილი ადგილების მიხედვით.

ბ) ღირებულება—თვით მივლინებულის გადასავლელათ და მისი პირადი ბარგის გადასაზიდავად, როგორც გამგზავრების ადგილამდე (სადგური, ხავთ-სადგური, ვაგონი, ხომალდი და სხვ.) ისე დანიშნულ ადგილზე ჩასვლისას—დროებითი საცხოვრებელ ადგილამდე და ამის-და მიხედვით პირუკუ. აუცილებელ ხარჯების ფარგლებში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს საერთო სახელმწიფო მინიმუმის 17 ხარისხოვან ქსელის მე-10-ე ხარისხის სამი დღის განაკვეთისა.

გ) მივლინების ადგილში დროებით საცხოვრებელ ბინის ქირა, ნამდვილი და აუცილებელ ხარჯების ფარგლებში, რომლის სისწორე დამტკიცებული უნდა იქნეს გასამართლებელი საბუთებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს მაქსიმალური რაოდენობის დღიურისა (მე-5-ე მუხ.) მივლინების ადგილზე თითოეულ ნებადართულ დღისათვის.

7. ყოველ ზემო-აღნიშნულ შემთხვევებში გამოანგარიშება ხდება მივლინებაში გამგზავრების ან დანიშნულების ადგილების ერთ-ერთ უმაღლეს ზოლის მიხედვით. გამგზავრების და დანიშნულების ადგილებს შორის მდებარე ადგილების ზოლები გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

8. ყველა ხარჯები და ანაზღაურებანი, რომელნიც გათვალისწინებულია ზემო-ხსენებულ მე-6-ე მუხლში, მიღებულ და გასწორებული უნდა იქნეს მივლინებულის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ გაცემული თანხის დახარჯვის ნამდვილ პირობებში, და გამართლებული და დამტკიცებული უნდა იქნეს (ტრამვაით მგზავრობის, გადაზიდვის ხარჯების და სხვ. გარდა) ანგარიშ-ვალდებულობის შესახებ არსებულ წესის თანახმად.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ—ბახუტოვი.

მდივანი—კლევეროვი.

დადგენილება № 20.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსი.

პენსიის და აგრეთვე დამატებითი სახეთათვის და უმუშევრების დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და მშრომელთა იმ ოჯახების წევრთა პენსიის შესახებ, რომელთაც დაკარგეს მარჩენალი და აგრეთვე დამატებითი სახეთათვის და უმუშევრობიდან დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ, ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და სრ. რუს. პროფ. კავშირთა ცენტ. საბჭოს ა. | კ. ბიუროს ამა წლის 8 მაისის თარიღით გამოქვეყნებულ დადგენილება № 48-ის თანახმად, ა. | კ. შრომის სახ. კომ. საქ. რწმუნებულის სამმართველო ადგენს.

1. შრომის ინვალიდთა და დაზღვეული მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო-უკვლო დაკარგვის შემთხვევებში მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის დაზღვევის დამატებითი სახეების და უმუშევრობიდან დახმარებათა ნორმის გამოსაანგარიშებლად, ამა წლის ივნისისათვის საქ. ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს (8 მან. და 21 კაპ.) რვა მანეთი და ოცდა ერთი კაპეიკის საქონლის მანეთებში, რაც შეადგენს ა | კ. ბონებით ცამეტ მილიონს, ხუთას სამოცდა ხუთ ათას მანეთს (13.565.000 მან.)

2. ადგილობრივ დამზღვევ კასათ ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაზღვეულთა დახმარებათა და პენსიის გამოსაანგარიშებლად იხელმძღვანელონ ზემო-აღნიშნულ ხელფასით (13.565.000 მან.) როგორც მაქსიმალური, ამის შესახებ არსებულ ნორმებისა და კატეგორიების მიხედვით.

ა.—კ. შრომის სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში ა. ი ა შ ვ ი ლ ი.

სოც. დაზღ. რესპ. სამმართველოს მდივანი ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ტფილისის ორგანიზაციის პოლიტიკური წრეების [illegible] მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ის. თალაკვაძეს, დუდუჩავას, ნოვიკოვს, ელისაბედაშვილს, კოსტანიანს, ტაკოევს, ალაგარდიანს, სურხატიანს, კასიანს, მარო ორახელაშვილს. ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ ხუთშაბათს 14 ივნისს, დღის 1 საათზე მე-4 რაიონის პარტიული სკოლის შენობაში სათანადო ინსტრუქციების მისაღებად.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე: ა. პ ე ნ ი ა კ ო ვ ი.

. კ. პ. თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი პირველ ივნისამდე, ამ დღეში შემოიტანონ სათანადო რაიონებში.

ამ წინადადების არ ასრულებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

პასუხისმგებელ მდივნებს ევალებათ სასტიკად ადევნონ თვალყური საწევრო გადასახადების წესიერათ შემოტანას.

თბ. კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს 13 ივნისს საღამოს 6 საათზე ყოფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება

დელეგატთა კრება

მეოთხე რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად.

ყველა დელეგატების და მდივნების დასწრება სავალდებულოა. უჯრედების პასუხისმგებელმა მდივნებმა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა აცნობონ ყველა დელეგატებს, რომ მათი დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი: ხ ა ც კ ე ვ ი ჩ ი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბის ბინაზე გაიმართება მე-3 რაიკომის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

მდივანი: ვ ა რ თ ა პ ე ტ ი ა ნ ი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო კონსტანტინეს ასული, ცოლი მარო ილიას ასული, დები: მარო, ნინა, ნადია და ანნა სპირიდონის ასულები, სიძეები: ვლადიმერ სოლომონის ძე სიამაიშვილი, სერგო მაქსიმელის ძე ჟორჟოლიანი, ალექსანდრე გიორგის ძე ჩხეიძე, ძმა მიხეილ სპირდონის ძე, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი

გრიგოლ სპირდონის ძე ქუთათელაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს 13 ივნისს საღამოს 6 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს საყდარში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

რუსთაველის თეატრი

კვირას, ივნისის 17

გალაკტიონ ტაბიძის

საზეიმო საღამო

კრ. 423 7—3

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიული განყოფ.

გადავიდა

რუსთაველის პროსპექტზე № 27.

ყოფილი ევროპიული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით.

3—2

განცხადება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს რომ

ვინაობის წიგნაკების

გაცემა დაიწყება 15 ივლისიდან, რომელ დროისათვის იქნება გამოცემული სათანადო ინსტრუქცია

1—1 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი: ა. გეგეჭკორი.

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.

კვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—3

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—24)

ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ სტეფანე ნიკიფორეს ძე ტრეგუბოვის ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლებანი ორი თვის ვადაში.

სახალხო მოსამართლე: თეთრაშვილი.

დაეკარგე კავშირის წიგნაკი № 663, მანტიორ მგალობლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაეკარგე ქაღალდი № 56, გაცემული მე 2 კომისარიატის მიერ ნოე სანიკიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაეკარგე სახლის წიგნი № 4058, ლოტკინის ქუჩ. შალამბერიძის სახლი № 29. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაეკარგე მოწმობა № 667, გაცემული ლიტვის ელჩის მიერ პინხუს კოზლოვსკის, მისი ცოლის ლეის და შვილების იულიას, ელოს, რებეკას, გერშას, იდას და ბასის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 8.000

აზ. „ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.